დრო

№170 (12 240)

21 ივლისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა გოგოლაძე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის

10

ქართული დელეგაცია ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე

10

კახა სან ფერნანდო ნიკა ცქიტიშვილს კონტრაქტს სთავაზობს

9

ოთარ მარცვალაძე ზაკარპატიეში ითამაშებს

მერაბ მამულაშვილი

კიევის "დინამოში" ვერდამკვიდრებული **ოთარ მარცვალაძე** წლის ბოლომდე უუგოროდის "ზაკარპატიეში" ითამაშებს. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ გუნდში "დინამომ" 23 წლის თავდამსხმელი გუშინ იჯარით გაუშვა. თავად მარცვალაძემ დაგვიდასტურა, რომ საქმე გადაწყვეტილია და კიევის "არსენალის" მსგავსად, არანაირი გაურკვევლობა ტრანსფერთან დაკავშირებით არ არსებობს. "ზაკარპატიეში" შესაძლოა, **კახა ალადაშვილმაც** ითამაშოს. კიეველები "ზაკარპატიეს" მის თაობაზეც შეუთანხმდნენ. ერთადერთი ამ გარიგებას თავად ალადაშვილი აბრკოლებს. ის ჯერ კიდევ ელოდება რუსეთის პრემიერლიგის კლუბიდან მიწვევას.

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

არგენტინა და ბრაზილია აზერბაიჯანმა ჩაანაცვლა

საკითხი 99 პროცენტით გადაწყვეტილია

ბევრი კი ითქვა და დაიწერა 12 სექტემბერს არგენტინასთან ან ბრაზილიასთან სავარაუდოდ გასამართ ამხანაგურ მატჩებთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ ხელში აზერბაიჯანი შეგვრჩა. სამხრეთამერიკელებთან ქართულმა მხარემ ფინანსურ მხარეზე ვერ მიაღწია შეთანხმებას.

გუშინწინ, აზერბაიჯანელებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 2007 წლის 12 სექტემბერს ბაქოში აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრებები გამართავენ ამხანაგურ შეხვედრას.

"12 სექტემბერს ამხანაგური მატჩის გამართვაზე არც არგენტინისთან და არც ბრაზილიასთან გარიგება არ შედგა. სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებების შეხვედრები უეფამ გააუქმა. ამ დღეს ევროპის ბევრი ნაკრები ატარებს ოფიციალურ მატჩს და კლაუს ტოპმიოლერმაც გვითხრა, აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები დაგვეწყო. მოგეხსენებათ, 9 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, უკრაინას ვმასპინძლობთ. რთული თამაში გველის და ტოპმიოლერს სურდა, უკრაინასთან რთული მატჩის შემდეგ ერთი ამხანაგური მატჩი გაგვემართა შედარებით იოლ მოწინააღმდეგესთან. ამჟამად მოლაპარაკებები დასრულების ფაზაშია. საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა ამოწურული, მაგრამ 99 პროცენტით შეიძლება ითქვას, რომ 12 სექტემბერს აზერბაიჯანი ბაქოში გვიმასპინძლებს", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ნაკრების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

დავით ცაბაძე

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი U16

მოსალოდნელი წაგება ესპანეთთან და... 27:236!

ესპანეთი – საქართველო 82:53

24:12, 18:9, 20:21, 20:12

საქართველო	წთ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
ბაძრაძე	12	0	0	0	0	0	3
მალლაკელიძე	15	0	2	1	0	0	1
ჩიკვილაძე	19	7	2	1	1	0	3
შენგელია	31	18	5	1	6	2	5
თავართქილაძე	30	6	6	5	0	1	6
გოქოლიშვილი	17	4	0	0	0	0	1
იოსელიანი	16	2	6	0	1	1	0
ხეთაგური	2	0	1	0	0	0	1
ჭოხონელიძე	9	7	3	0	0	0	0
ელანიძე	15	3	5	0	0	0	3
დვალიშვილი	30	6	0	1	1	4	1
სულაბერიძე	9	0	0	1	0	0	1

იტალია – სლოვენია 62:51

საბერძნეთში გუშინ დაიწყო ევროპის კადეტ კალათბურთელთა ჩემპიონატი. ქართველი კადეტები, თანამემამულე ახალგაზრდებისგან განსხვავებით, საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოხვდნენ, საიდანაც ალბათ გვარიანად გაუძნელდებათ გაღწევა. გუშინდელმა საქართველო-ესპანეთის შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამხელა უფსკრულია ჩვენსა და ევროგრანდებს შორის...

ერთადერთ იმედად ისღა გვრჩება, რომ თუკი ჯგუფიდან გასვლით ვერ შევინარჩუნებთ ადგილს ელიტაში, ეგებ მერე რომელიმე ჩვენნაირ გუნდთან ბრძოლაში შევინარჩუნოთ სიმწრით მოპოვებული ადგილი უძლიერესთა რიგებში...

ესპანელებმა, ფაქტობრივად, საწყის ოცწუთიან მონაკვეთში გადაწყვიტეს მატჩის ბედი. თავიდან, ისინი 6:0 დაწინაურდნენ და პირველი მეოთხედი 15-ქულიანი სხვაობით მოგვიგეს. დიდი შესვენებისას კი, ტაბლოზე 45:21 ენთო პირინელთა სასარგებლოდ. იმ დროისათვის, ქართველთა 21 ქულიდან, 15 **შენგელიას** ანგარიშზე მოდიოდა, რითაც ორივე გუნდში საუკეთესო იყო. იგი დე პაბლოსთან ერთად, მატჩის ბომბარდირიც გახდა, მაგრამ სამწუხაროდ, თანაგუნდელებმა ვერ აუბეს სათანადოდ მხარი...

მოკლედ, დასკვნით ოცწუთიან მონაკვეთში, ესპანელებმა მშვიდად, ყოველგვარი გართულების გარეშე მიიყვანეს საქმე სოლიდური სხვაობით გამარჯვებამდე.

მხოლოდ მშრალ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აქაც ნათლად ჩანს, რომ ესპანელებმა ყველა კომპონენტში აშკარად დაგვჯაბნეს - როგორც სროლის სიზუსტით, ასევე ფარზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა კადეტებმა, მთელ მატჩში მხოლოდ ოთხი (!) ჯარიმა ისროლეს და ოთხივეჯერ, პირინელები შენგელიაზე დაჯარიმდნენ.

ისღა დაგვრჩენია, საქართველოს ნაკრებს იტალიასა და სლოვენიასთან, გაცილებით კარგად თამაში და ჯგუფიდან "გაძრომა" ვუსურვოთ. აპენინელებს დღეს, 21 საათზე ვეთამაშებით, კვირას კი 23:15 საათზე, სლოვენიას გავეჯიბრებით.

გუშინვე, ჩვენი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა საინტერესო ფაქტმა: B დივიზიონში ფრიად საინტერესო ანგარიში დაფიქსირდა. ბოსნიელებმა, ჩვენს მეზობელ სომხეთს 236:27 მოუგეს...

www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერი

ქართველმა თუნის იმპოზენჭობას უნდა უშველოს

იაშვილი სენტ გალენსაც დაამშვენებდა

სანდრო იაშვილს 10-ნომრიანი მაისურა გადასცეს

დღეს შვეიცარიის ექსპო ლიგაში ახალი სეზონი იწყება. სასტარტო ტურში **სანდრო იაშვილის** "თუნი" "სიონს" უმასპინძლებს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში, **სანდრო იაშვილს** შეცვლაზე მოუწევს თამაში და ახალ გუნდში მისი ოფიციალური დებიუტიც შედგება.

გასულ სეზონში საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირზე "თუნში" დიდ იმედებს რომ ამყარებენ, ამას არაერთხელ ვწერდით. ქართველ ფორვარდს 10 ნომრიანი მაისურა მისცეს. ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად პირადი მწვრთნელი მიამაგრეს... შვეიცარიული პრესაც კეთილგანწყობილია იაშვილისადმი.

ამ სტატიებზე ოდნავ ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი ვნახოთ, თუ რას წერს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "თუნის" ოფიციალური ვებგვერდი.

"სასტუმრო "ზეეპარკში" "თუნის" ხელმძღვანელობა ჟურნალისტთა წინაშე წარდგა. კლუბის პრეზიდენტმა დოქტორმა კურტ ვედერმა, ვიცე-პრეზიდენტმა ბიტ გერმანმა, სპორტულმა დირექტორმა რეტო გერტშენმა და ახალმა მწვრთნელმა რენე ვან ეკმა ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს.

განვლილ სეზონში გუნდის მიზანი ცხრილის შუაგულში მოხვედრა იყო და გუნდმა ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. კლუბის პრეზიდენტი კმაყოფილია და ახალ სეზონშიც პროგრამა მინიმუმი ცხრილის შუაგულში ყოფნაა. მისი თქმით "თუნის" დევიზი უცვლელია – მარშით წინ!

გუნდის ახალმა თავკაცმა რენე ვან ეკმა კი აღნიშნა: "გუნდი პირველ რიგში მენტალურად გაძლიერდა. რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შევიძინეთ და შესაძლოა ერთი-ორი ცვლილება კიდევ მოხდეს. გუნდმა ფიზიკურად მოუმატა და ვფიქრობ, ახალ სეზონში კარგი შედეგები უნდა გვქონდეს. ახალწვეულებს შორის საკუთარი ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირიცაა და ახალი ფეხბურთელების დიდად მეიმედება".

ამავე პრესკონფერენციაზე ახალწვეულები წარადგინეს. "თუნის" ოფიციალურ ვებგვერდზე ამ მასალას მხოლოდ სანდრო იაშვილის ფოტო ამშვენებს.

ქართველ ფორვარდზე წერენ სხვა გამოცემებიც.

"თუნმა" ქართველი ფორვარდი სანდრო იაშვილი თბილისის "დინამოდან" გადაიბირა. ეს თავდამსხმელი საქართველოს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირია. იაშვილმა გასულ ჩემპიონატში იმდენი გოლი გაიტანა, რამდენიც ლამის მთლიანად "თუნმა". შესაბამისად იაშვილზე "თუნში" დიდ იმედებს ამყარებენ და სჯერათ, რომ ის მნიშვნელოვნად გაზრდის გუნდის შედეგიანობას...

- არაერთი წინადადება მქონდა. მათ შორის ფინანსურად უფრო მაცდური და მიმზიდველი. გერმანიის, რუსეთისა და უკრაინის კლუბებიც მეპატიჟებოდნენ, მოსკოვის "სპარტაკს" სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ ფინანსებზე წინ საკუთარი კარიერა და წინსვლა დავაყენე და "თუნზე" შევაჩერე არჩევანი. მჯერა, არც შევმცდარვარ" - აცხადებს სანდრო იაშვილი", - ვკითხულობთ პოპულარულ "ბლიკში"...

"სანდრო იაშვილი "სენტ გალენსაც დაამშვენებდა" - სწორედ ეს სათაური ამშვენებს შვეიცარიულ 20 minut -ის სტატიას, რომელიც ასევე ქართველ ფორვარდს ეხება.

"თუნის" მთავარ მწვრთნელ რენე ვან ეკის თქმით, სანდრო აშვილს კიდევ 2-3 კვირა უნდა მომზადება, რათა სათანადო კონდიციაში შევიდეს და 90 წუთის განმავლობაში შეძლოს თამაში. ახალ სეზონს "სიონთან" 21 ივლისის მატჩით ვიწყებთ. იაშვილი ჯერ კიდევ არაა ჩვეულ ფორმაში და ის სასტარტო შემადგენლობაში ჯერ ვერ იქნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ თავდამსხმელს თამაში არ მოუწევს. მისი დიდად გვეიმედება და გვჯერა, იაშვილის დახმარებით ახალ სეზონში "თუნი" შედეგიანად ისპარეზებს...

"სენტ გალენს" მთავარი მეგოლე ალექსი დაშავდა და სანდრო იაშვილი "სენტ გალენსაც დაამშვენებდა", - ამ სიტყვებით ამთავრებს მიმომხილველი სტატიას. მასალას თან ფოტოც ახლავს, რომელზეც საგულისხმო მინაწერია – სანდრო იაშვილმა "თუნის" საგოლე იმპოტენციას უნდა უშველოს...

დავით ცაბაძე

დუშან უჰრინი ვერცხლის მედლით

დაჯილდოება

დინამოელებს ვერცხლის ოქროთი შეცვლა სურთ

გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზას პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი **შოთა ბაქრაძე** ეწვივნენ. სტუმრობის მიზანი, გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონებისთვის ვერცხლის მედლების გადაცემა იყო.

"მედლები, ადრინდელივით მაღა ზიაში ნაყიდი არაა, ზარაფხანაში სპეციალური შეკვეთით დავამზადებინეთ", - აღნიშნა ბურჯალიანმა.

ამის შემდეგ მედლების გადაცემა დაიწყო. პირველი მედალი **გიორგი მერებაშვილს** ხვდა, მერე იყო **გულვერდ თომაშვილი, დავით დიღმელაშვილი, ლევან ხმალაძე, სანდრო კობახიძე**...

დარბაზში სიხარული დატრიალდა და მილოცვების გაცვლა-გამოცვლაც დაიწყო. მწვრთნელისა და ფეხბურთელების ემოციები მათ კომენტარებშიც აშკარად იგრძნობდა.

დუშან უჰრინი: - ეს ჩემთვის პირველი ქართული მედალია. ჩემს კარიერას რამდენიმე მედალი ამშვენებს. სხვადასხვა ქვეყანაში მოპოვებული მედლები არაერთი მაქვს. მათ შორის სამი ოქროსია და ძალიან მინდა, მათ მინიმუმ ერთი ქართული ოქრო მაინც შევმატო.

- ვერცხლის რამდენი მედალი გაქვთ?

- ორი ვერცხლია, ერთი ისრაელში მოპოვებული, მეორე კი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატიდან. კარგი იყო მაშინ ოქრო აგვეღო, მაგრამ...

"უზომოდ გახარებული და ბედნიერი ვარ. ეს ჩემი პირველი მედალია ქართულ კარიერაში. ეს ვერცხლია და ამას აღარ დავკმაყოფილდებით. მომავალ ზაფხულს მას ორის ნაცვლად ერთი ხაზი უნდა ჰქონდეს...", - ეს უკვე ***ილია სპასოვიჩის*** *სიტყვებია - "ჩემს კოლექციაში 4-5 მედალია, რომელიც "ვოვვოდინასა" და "ბუდუჩნოსტში" ასპარეზობისას მოვიპოვე. ევროტურნირებზე ასპარეზობა "ვადუცის" ძლევით დავიწყეთ. მალე ჩემპიონატიც დაგვეწყება და ეს მედალი ჩემთვის და მთლიანად გუნდისთვის სტიმული იქნება მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად."*

სხვებთან ერთად ხარობდა **ნედ ზელიჩი,** რომლისთვის მედლები და ტიტულები უცხო ხილი ნამდვილად არაა: "ოქრო ჯობდა, მაგრამ არა უშავს... მჯერა, მომდევნო სეზონში ოქროს მედლები ჩვენ დაგვრჩება".

ნედ ზელიჩის შემდეგ უკვე კრშკოებს მივადექი... დიახ, კრშკოებს, რადგან დაჯილდოების ცერემონიალს **მილოშ კრშკოსთან** ერთად მისი მეუღლე **სონია** და 7 თვის ვაჟიშვილი **სამოელიც** ესწრებოდნენ.

"ჩემი ემოციები? რაღა თქმა უნდა გახარებული ვარ. "დინამოში" გასულ ჩემპიონატში, პირველი წრის შემდეგ გადმოვედი. ახალ ლეგიონერებს სეზონი მთლიანად რომ გვეთამაშა, მჯერა, ახლა ვერცხლის ნაცვლად ოქროს მედლები გვერგებოდა. თუმცა დარწმუნებული ვარ, მომავალ ზაფხულში უკვე ოქროს მედლებს გადმოგვცემენ", - აღნიშნა კრშკომ.

დაბოლოს, გუნდის კაპიტან **დავით დიღმელაშვილის** აზრიც გავიგოთ, რომლისთვისაც ეს რიგით მეოთხე მედალი იყო: "დინამოს" შემადგენლობაში ეს ჩემი პირველი მედალია. ბუნებრივია, ყველა ჯილდო და ტიტული სასიამოვნოა და მით უმეტეს "დინამოში" მოპოვებული. აქამდე სამი მედალი მქონდა მოპოვებული, "ვიტ ჯორჯიიდან" ორჯერ ვერცხლი და ერთხელ ბრინჯაო მოვიგე. ასე რომ, წინ, ოქროსკენ მივიწევ.

დავით ცაბაძე

ოლიმპი

ქებაძე რუსთავში დარჩა

რუსთავის "ოლიმპმა" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა "ასტანასთან" შინ ფრედ 0:0 რომ დაამთავრა, თავისი მიზეზები ჰქონდა. ერთ-ერთი უმთავრესი, ძირითად შემადგენლობაში საყრდენი ნახევარმცველის, **ლაშა ქებაძის** არყოფნა და იძულებით საკადრო ცვლილებები იყო. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე "ოლიმპის" მწვრთნელმა, **ვარლამ კილასონიამ** თქვა, რომ ქებაძემ გუნდი დატოვა.

როგორც შევიტყვეთ, მატჩის შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს "ასტანასთან" შეხვედრამდე გაუგებრობა მოხდა, მაგრამ ლაშა ქებაძემ ეს ყოველივე კატეგორიულად უარყო: "არანაირი კონფლიქტი არ მომსვლია. შეხვედრა მცირე ტრავმის გამო გამოვტოვე. ახლა ისევ "ოლიმპში" ვვარჯიშობ და ყაზახებთან განმეორებითი შეხვედრისთვის ვემზადები."

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები

ხოჯავა: სეზონის ბოლოს საჭურნში

მახაჩყალის "ანჟიმ" **გოჩა ხოჯავას** რუსეთში დაბრუნების მშვენიერი შანსი მისცა. 22 წლის ნახევარმცველმა საკუთარ თავს **ომარ თეთრაძესთან** არათუ მიაგნო, გულშემატკივართა რჩეული სულ რაღაც სამ თვეში გახდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ხოჯავას მიმართ ინტერესი პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბს აღმოაჩნდა.

გოჩას გუშინ დავუკავშირდით და ინფორმაცია დაგვიდასტურა: "დასამალი არც არაფერია. სეზონის ბოლოს "სატურნში" გადავალ. გუნდში ჩემი თამაშით კმაყოფილი არიან, ფორმაში ვარ, სულ ვთამაშობ, გოლებიც გამაქვს და ეს გაჯი გაჯიევმა იცის. "ოლიმპიდან" წასვლის შემდეგ, ერთი კვირა "კრილია სოვეტოვში" ვვარჯიშობდი. ომარი გაჯიევთან ძალიან კარგად იყო, მაშინ "კრილიაში" ეხმარებოდა. გაჯიევსაც ძალიან მოვეწონე და კონტრაქტი შემომთავაზა. მერე რაც მოხდა, იმის გახსენება არ მსიამოვნებს. "როსტოვმა" ჩემს გამოსასყიდად იმხელა თანხა მოითხოვა, "კრილიამ" თავი შეიკავა. იფიქრეს, მდიდარი გუნდიაო და ბევრი ამიტომ მოსთხოვეს. მახაჩყალის "ანჟიში" ამის შემდეგ წავედი. პირველი ლიგის გუნდს კი "როსტოვმა" იმდენი ვეღარ მოსთხოვა და "ანჟიმ" გამომისყიდა. აქ რომ ავთამაშდი, გაჯიევი "სატურნში" დანიშნეს და როგორც გავიგე, ისევ დაინტერესდა და სეზონის ბოლოს კონტრაქტი უნდა გავაფორმო".

გოჩა აშკარად გახარებულია, რომ ახალ გუნდში დამკვიდრება მოახერხა: "რუსეთში თამაში იოლი არაა, მართალია, ისეთი ფეხბურთელები არ არიან, როგორც პრემიერლიგაში, მაგრამ სულ ჯახია და კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე, 90 წუთს ვერ ითამაშებ. მიხარია, რომ ეს შევძელი, მწვრთნელი მემადლიერება და ისეთი შეგრძნება მაქვს, სხვა გოჩა ხოჯავა გავხდი. ფიზიკურად ასეთი მომზადებული არასდროს ვყოფილვარ. რამდენჯერმე პირველი ლიგის სიმბოლურ ნაკრებში დამასახელეს. როგორც იქნა ავეწყვე, რადგან გვერდით ომარ თეთრაძე დამიდგა, მენდო და მეც ბევრი ცუდი თვისება გადავაგდე. ეტყობა, ესაა მთავარი, ფეხბურთისთვის თავი რომ გადავდე, უცებ გამოვჩნდი. კი არ ვტრაბახობ, ერთ შეხვედრაში იმდენს დავრბივარ, იმდენ ვარდნას და ართმევას ვაკეთებ, აქამდე ერთად აღებული რომ არ გამიკეთებია".

გოჩა ხოჯავა

"სატურნი" ისეთი მიმზიდველი წინადადება აღმოჩნდა ქართველი მოთამაშისთვის, რომ მას სხვა წინადადებებზე არც უფიქრია: "იყო სხვა მიწვევებიც, "ურალი" და "ბალტიკა" დამიკავშირდნენ, მაგრამ ისევ პირველ ლიგაში თამაში არ მინდა. თანაც, გაჯიევის გუნდები რუსეთში გამორჩეულ, ტექნიკურ და შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, რაც მეც ძალიან მიყვარს. ასე რომ, ისინი უარით გავისტუმრე.

მერაბ მამულაშვილი

სამი წლით კარლ ცაისში

"კარლ ცაისმა" კიდევ ორი ქართველი ოფიციალურად გადაიფორმა: რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი მარჯვენა მცველი **გიორგი სეთურიძე** და ოდესის "ჩერნომორეცის" უნივერსალი **ილია კანდელაკი**. ქართველმა მოთამაშეებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და დოკუმენტებს ხელიც მოაწერეს.

როგორც შევიტყვეთ, ორივემ კონტრაქტი 2+1 სისტემით გააფორმა. თუმცა კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წინასწარ იუწყებოდა, რომ ქართველებს ერთნლიან ხელშეკრულებებს სთავაზობდნენ.

კონტრაქტი **რეზო ბარაბაძესაც** შესთავაზეს, თუმცა ჯერ არ გაუფორმებია.

"კარლ ცაისმა" 16 ივნისს ჰოლანდიურ "მაასტრიხტთან" საკონტროლო შეხვედრა გამართა და 0:1 ნააგო. ქართველებიდან კანდელაკმა და სეთურიძემ მთელი მეორე ტაიმი ჩაატარეს, გიორგი ონიანმა კი 63-ე წუთზე **მაული** შეცვალა. იენელებს ორჯერ ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ **გალუშკამ** ვერ ივარგა

ქართველი ფეხბურთელები გუნდმა უკვე დაეზღვია და მალე ბინებსაც უქირავებს და მანქანას გადასცემს.

გუშინ, საღამომდე "კარლ ცაისის" ოფიციალური ვებგვერდი ამის თაობაზე არაფერს იუწყებოდა. 18 ივლისს კი ასეთი რამ ეწერა, კანდელაკისა და სეთურიძის საკითხი საბოლოოდ გარკვეულია და ისინი "კარლ ცაისში" ჩაირიცხებიანო. გუშინ სეთურიძეს დავუკავშირდით, რომელმაც დაგვიდასტურა კონტრაქტის გაფორმება.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ ნოდარ ლადარიასთან

ეს სტალინიზმის რელიქტია



ნოდარ ლადარია

მისი რეგალიების ჩამოთვლას არ დავიწყებთ - ის არის პიროვნება, რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, რომელსაც გონება კარგად უჭრის და რომელსაც ბევრი ეთქმის. მწიგნობარი რესპონდენტი იმად ავირჩიეთ, რომ მაისში დატრიალებულ მოვლენებზე მასთან ცივი გონებით, დამცხრალი ემოციების ფონზე გვესაუბრა. "ლელოს" კითხვებს პუბლიცისტი ნოდარ ლადარია პასუხობს.

- ფეხბურთის ფედერაციის ნლევანდელ ყრილობაზე პრეზიდენტი აირჩიეს, მერე ის რამდენიმე წუთში გადადგა, შემდეგ მასთან დამარცხებული კანდიდატი წარბშეუხრელად გახდა პრეზიდენტი, რომელსაც იმ დელეგატებმაც მისცეს ხმა, რამდენიმე დღის წინათ სხვას რომ დაუჭირეს მხარი. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს პიროვნების ფაქტორს კიდევ უფრო აკნინებს ჩვენს საზოგადოებაში?

- პიროვნების როლი ჩვენში არც მანამდე ყოფილა მაღალი. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ნახეთ რა ხდება სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით აგორებულ ამბავში - ქართველმა სპორტსმენებმა თავიანთი წარმატებებით ჩვენს სამშობლოს გაუთქვეს სახელი, ისინი თავიანთი ქვეყნის სახელით გამოდიან და დიდება მოაქვთ სამშობლოსთვისო. არავის არ მოუვიდა აზრად იმის თქმა, რომ დიდ საერთაშორისო ტურნირზე ქვეყანა კი არა, პიროვნება იმარჯვებს. არადა უფრო იმას უნდა ექცეოდეს ყურადღება, თუ როგორ მოახერხა სპორტსმენმა ამ ჭაობიდან ისე გამოძრომა, რომ თავისი ნიჭითა და შრომით მიაღწია წარმატებას. ცივილიზებულ მსოფლიოში სპორტსმენის გამარჯვება ადამიანის გამარჯვებაა და ის თავის დიდებას არ უნაწილებს თავის სახელმწიფოს. ხოლო რაც ჩვენთან ხდება, ეს სტალინიზმის ერთ-ერთი გადმონაშთია. რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებს, ნოდარ ახალკაცს ის უპირატესობა ჰქონდა გიორგი ნემსაძესთან, რომ მამამისის შვილია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მისი პიროვნული თვისება არ არის. ახალკაცსა და ნემსაძეს შორის სხვა მკვეთრ განსხვავებას ვერ ვხედავ. მეორე მხრივ, ახალკაციც და ნემსაძეც რაღაცის სახეს, რაღაცის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდნენ, რადგან ორივე მათგანის უკან სხვა იდგა. ვფიქრობ, ეს ჩვენი დაბალი ეკონომიკური დონის ბრალიცაა. მაღალგანვითარებულ ეკონომიკურ ქვეყნებში უფრო მეტი დამოუკიდებელი და გავლენიანი ადამიანია. ჩვენთან არ არის ის ღირებულებები, რამაც უნდა მართოს საზოგადოება. ასე რომ, რაც მოხდა, ლოგიკური იყო.

- და ამას ქართული საზოგადოება უნდა შეეგუოს?

- უბედურება ისაა, რომ საქართველოში არ არსებობს ფეხბურთის გულშემატკივარი. არავის გამოუხატავს აღშფოთება იმის გამო, რაც მოხდა. ვინც მხოლოდ ტოტალიზატორების კარს ატალახებს, ის არის გულშემატკივარი? ჩვენთან ფარისევლობა კარგი ტონია. ჩვენს საზოგადოებაში ვინც ქვევით არის, დიდად არ ჯობია იმას, ვინც ზემოთაა.

- თქვენ ადრე თქვით, რომ, მაგალითად, იტალიაში, მაფია დაამარცხეს პიროვნებებმა: პიროვნება-რეჟისორმა, პიროვნება-ჟურნალისტმა, პიროვნება-პარლამენტარმა, პიროვნება-მღვდელმა ... ჩვენთან კი არც პიროვნებებია და არც მითები პიროვნებებზე, თითქოს ყველა მითი-პიროვნება საქართველოში უარყოფითი ან ცრუა. ეთანხმებით ამას?

- ძალიან პესიმისტურებიც ნუ ვიქნებით. მაგალითად, მიშა მესხი დადებითი მითია. პრობლემა ისაა, რომ ჩვენთან პატივს სცემენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის სტატუსს და არა მის ბიოგრაფიას, მაგრამ ამას თავისი დადებითიც აქვს - ასეთი ადამიანის სახელი და გავლენა მისი სტატუსის ხანგრძლივობას უდრის. ჩვენთან ღირებულებები შესაცვლელია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ტრადიციები ყოფით დონეს ვერ გასცდა. პიროვნებისთვის ბიოგრაფია რომ იყოს საზომი, იმის საშუალებაც უნდა არსებობდეს, ადამიანმა დამოუკიდებლად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. მე პატრონი არ მყავს, იმას კი ჰყავს - ასეთი რამ ცივილიზებულ სამყაროსთვის უცხო და გაუგებარია.

- როგორ უნდა შეიქმნას ღირებულებები ქართულ საფეხბურთო სამყაროსთვის და მთლიანად ჩვენი საზოგადოებისთვის - განა ამის რეცეპტი არსებობს?

- ზუსტი რეცეპტი არ არსებობს - დრო და ეკონომიკის ზრდა. მანამდე კი განვითარების სათანადო ღირებულებები არ არსებობს. შეხედეთ ჩვენი საზოგადოებას და დაინახავთ, რომ კრიტიკის უფლება არავის შერჩა, თითქოს არავის არაფერი ეთქმის - არც გულშემატკივარს, არც ფედერაციის პრეზიდენტობის მოსურნე ერთ თუ მეორე მხარეს, არც ხელისუფლებას, რომელიც ერევა ფედერაციის საქმიანობაში.

- აზერბაიჯანში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ის გახდა, ვინც ალიევების კლანს სურდა, ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი მისი ვაჟია. ყაზახეთში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ქვეყნის პრეზიდენტის სიძეა. ჩვენთანაც თითქოს მემკვიდრეობით გახდა ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტი, თანაც ის პრეზიდენტად უმაღლესმა ხელისუფალმა მოისურვა. რა ხდება, იმის მაგივრად, რომ საერთაშორისო ერი გავხდეთ, აზერბაიჯან-ყაზახეთის სუბკულტურას ვითვისებთ?

- გეთანხმებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში ელიტაზე მოძველებული წარმოდგენაა. მაგალითად, იტალიაში ძალიან უყვართ ველოსპორტი, რომელიც პოპულარობით ფეხბურთთან ვერ მივა, მაგრამ ველოსპორტის გულშემატკივრები ამბობენ, რომ ჩვენ ბრბო კი არა, რჩეულები ვართო. ყოველივე ეს ობიექტურად სისულელეა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი შინაგანად თავისუფალია. ჩვენთან კი ადამიანებს ზრდიან და უყურებენ, როგორც ბავშვებს - რახან ის ცნობილი მოჭიდავე თუ ფეხბურთელია, მას პრივილეგიები უნდა ჰქონდეს. რახან ის ვიღაცის შვილია, მასზე არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის ნარკომანია. ჩვენთან ახლა ფეხბურთია გამოცხადებული სპორტის პრივილეგირებულ მიმართულებად და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც ხელისუფლების ფავორიტი უნდა იყოს. ეს სტალინიზმის რელიქტია.

- ზუსტი რეცეპტის გარეშე?

- ასეთ რეცეპტს სოციოლოგიის გენიოსი თუ გამოიგონებს.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ბელხატოვი-ამერის შემდეგ

პატარა, ამბიციური ბელხატოვი და ქომაგთა ჭრელი ერთობა

პრეზიდენტსა და მწვრთნელს საფიქრალი არ აკლიათ

ბელხატოვის არენა. უკანა პლანზე სპორტოტელი

ასლანის ნაკვალევზე

აეროპორტისკენ მატჩის დასრულებისთანავე გავემართეთ. თავიდან ხმა გავრცელდა, თვითმფრინავში კვება არ იქნებაო და ქართველმა გულშემატკივრებმა დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრი ჰამბურგერებითა და გამაგრილებელი სასმელებით მოამარაგეს. ლოძამდე ჩვენმა ყველაზე ყურადღებიანმა მასპინძლებმა, ბელხატოვში მცხოვრებმა ქართველმა ქალბატონმა **რუსუდან მაჭარაშვილმა** და მისმა პოლონელმა ქალიშვილმა **მაკამ** გამოგვაცილეს. ქართულად მაკაც საუბრობს, დედა-შვილი ორ კვირაში თბილისშიც ჩამოვა და უკვე ბელხატოველებს გაუწევს მეგზურობას.

რუსუდანი და მაკა "ამერს" მხურვალედ ქომაგობდნენ, ნამატჩევს ჩვენი ფეხბურთელები გაამხნევეს, დარწმუნებულები ვართ, თბილისში "ამერი" სასურველი სხვაობით მოიგებსო. წარმატებები რუსუდანის მეუღლემ, გიორგიმაც გვისურვა.

ლოძი-თბილისის ჩარტერულ რეისზე "აირზენამ" იაკ-42 გამოგზავნა, თვითმფრინავი ვახსენეთ და ეს იაკი აჭარის ყოფილი ლიდერის, რუსეთში გადახვეწილი **ასლან აბაშიძის** ნაქონი ყოფილა.

თბილისში ბრძოლა იქნება

გუნებრივია, მარცხმა ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული. ფეხბურთელებს დანა პირს არ უხსნიდათ, მაგრამ ნელ-ნელა ყველას დაუბრუნდა საკუთარი თავის რწმენა. თბილისში უნდა ვიიმოთ - ასეთია საერთო განწყობა. არანაირი ვნახოთ, ეგებ და შეიძლება: ყველას სჯერა, რომ "ბელხატოვის" ძლევა შესაძლებელია.

პოლონელებმა შეხვედრის დასრულებისთანავე "ამერის" ხელმძღვანელობას თამაშის სატელევიზიო ჩანაწერი გადასცეს. **გიორგი ჩიხრაძე** მთელი უკანა გზა ნოუთბუქის მონიტორზე არჩევდა მატჩის პერიპეტიებს. გოლების გამეორება ყველამ არაერთხელ ვნახეთ და სამწუხარო დასკვნაც გაკეთდა: ტრადიციული ქართული სენი ვერ მოვიშორეთ და 90 წუთის განმავლობაში განეული შრომა ელემენტარულ შეცდომებს გადავაყრევინეთ წყალში.

დანარჩენ ლაფსუსებზე კი "ამერის" თავკაცი ბიჭებს, ბუნებრივია, დახურულ კარს მიღმა მიუთითებს. შანსი ნამდვილად არსებობს, ამერელები თვითმფრინავში ნელ ნელა გახალისდნენ და პირობა დადეს, რომ ორ კვირაში თავს არ დაზოგავენ. ტაქტიკურ ნიუანსებში კი ჩვენ ვერ ჩავერევით, შეცდომებს სამწვრთნელო შტაბი გააანალიზებს და ალბათ, ტაქტიკასა თუ შემადგენლობაში გარკვეულ ცვლილებებსაც შეიტანს.

წესით, თბილისში სულ სხვა თამაში უნდა იყოს და ამაში გულშემატკივრებმაც უნდა შეიტანონ დიდი წვლილი.

მარტო ამის გამო არ წაგვიგია, მაგრამ უდავოა, რომ "ბელხატოვის" გამარჯვებაში მისმა ქომაგებმა საკმაო როლი ითამაშეს. მთელი მატჩის განმავლობაში მათ სიმღერა არ შეუწყვეტიათ, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი მეტოქე ფეხბურთელებმა ტრიბუნებს ჩამოუარეს და ფანებს ლამის სათითაოდ ჩამოართვეს ხელი.

მთელი მსოფლიო სპორტ ოტელში

სამძიმელი ბევრიც არაფერია, მაგრამ ორიოდე სიტყვით უშუალოდ ქალაქსაც შევეხოთ. როგორც ჩვენმა მეგზურებმა გვითხრეს, ბელხატოვის მთავარი ღირსება და საარსებო წყარო ელექტროსადგურები ყოფილა. 75 ათასი ადამიანით დასახლებულ ბელხატოვს გარს შახტები აკრავს, დასახლებული ტერიტორია კი სიდიდით ვთქვათ, დიდუბეს არ უნდა აღემატებოდეს. საშუალო ზომის კათოლიკური ტაძრის ეზოს განსვენებული რომის პაპის, იოანე პავლე მეორის ქანდაკება ამშვენებს. არის რამდენიმე კაფე და ლუდხანა, მაღაზიებში მაინცდამაინც ფართო არჩევანი არაა. როგორც აგვიხსნეს, სურსათის გარდა, ყველაფრის შესაძენად ბელხატოვის მკვიდრნი ნახევარი საათის სავალზე მდებარე ლოძში დადიან. უშუალოდ ქალაქში კი უმეტესობა ველოსიპედით მოძრაობს.

წარმოებასთან ერთად, ბელხატოვის პრიორიტეტი სპორტია, რაშიც თანხები უშურველად იდება. წინასამატჩო რეპორტაჟში ვწერდი, "ბელხატოვის" ახალმა გენერალურმა სპონსორმა პრესკონფერენცია რომ ჩაატარა. თურმე, ამ ენერგოკომპანიას გუნდის მაესურსა და სტადიონზე საკუთარი ლოგოს განთავსების უფლება უმკაცრეს ტენდერში მოუპოვებია, მოცილედ კი ოცამდე არანაკლებ სოლიდური კორპორაცია ჰყოლია.

ფეხბურთის შემდეგ, ქალაქში პოპულარული ფრენბურთი ყოფილა. ვაჟებშიც და ქალებშიც ბელხატოვს მოწინავე კლუბები ჰყავს, ნლეულს ვაჟები ქვეყნის ჩემპიონები გამხდარან და საჩუქარიც ჩინებული მიიღეს - ქალაქის ცენტრში მდებარე ახლად აშენებული სუპერთანამედროვე (ვიხილე და თავად დავრწმუნდი) სპორტული კომპლექსის გამოყენების პრიორიტეტული უფლება მათ გადაეცათ.

კოხტა სტადიონი ბელხატოვის უმთავრესი სიამაყეა. გუშინდელ ნომერში მის შესახებ ვრცლად გიამბეთ, მხოლოდ ერთს დავამატებ, რომ სტადიონის ერთ-ერთი, 800-კაციანი ტრიბუნა ზემსუბუქი და საკმაოდ იაფი ლითონის კონსტრუქციითაა აწყობილი. მის დაშლასაც და აწყობასაც თურმე, ერთი დღე ჰყოფნის. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი იდეა უნდა იყოს ქართული კლუბებისთვის.

ქალაქის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა სტადიონის გვერდით მდებარე მრავალსართულიანი "სპორტ ოტელია". აქ სპორტსმენები მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის ემზადებიან. შესანიშნავი სატრენაჟორო დარბაზის, აუზსაუნებისა და სხვა კომფორტის გარდა, სასტუმროს ერთი იშვიათი ღირსებაც აქვს. მის ნებისმიერ ნომერსა თუ ჰოლში შესაძლებელი ყოფილა იმ ქვეყნის კლიმატისა თუ ჰავის ხელოვნურად შექმნა, რომელშიც სპორტსმენი უნდა გაემგზავროს. ასე რომ, ამ სასტუმროს სტუმარი უნდა ბრაზილიაში იქნება, უნდა ნორვეგიაში და უნდა მადაგასკარზე.

ფანები და მძინარე ამერი

ზემოთ ფანები ვახსენე და კინაღამ გამომრჩა, თამაშის წინა საღამოს ბელხატოველი ყმაწვილების ალყაში რომ აღმოვჩნდი. ეგრევე მიხვდნენ, მათი ტომისა რომ არ ვიყავი და თავად გამომელაპარაკნენ. გაჭირვებით, მაგრამ მაინც გავაგებინეთ ერთმანეთს სათქმელი. სულ თხუთმეტამდე იქნებოდნენ, 20-23 წლისები, ყველა ერთმანეთის მეგობარი იყო, მაგრამ რაც ჩვენთვის, ქართველებისთვის უჩვეულოა, "საძმოს" წევრები დიდად არ ჰგავდნენ ერთმანეთს.

რამდენიმეს "ზანგურ-რეპერულად" ეცვა, ერთი გამორჩეულად თავაზიანი და ინტელიგენტი იყო, ერთი კოლეგა აღმოჩნდა, "ბელხატოვის" საიტს მე ვაკეთებო, მითხრა, ერთი უგონოდ მთვრალი გახლდათ და ზეზეულად ეძინა, ერთი კი ჯვარი აქაურობას და "იმფერობას" არ მალავდა. ყველას კი თავისი ქალაქისა და კლუბის უზომო სიყვარული აერთიანებდა.

ისიც თქვეს, შენი დანახვა ძალიან გაგვიხარდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ქალაქში უცხოელი დიდი იშვიათობააო. რომ გაიგეს, "ოტელ სანტინში" "ამერის" ფეხბურთელებთან ერთად ვიყავი დაბინავებული, მათი პირადად გაცნობა მოისურვეს. უკვე გვიანი იყო, ამერელებს ეძინათ და ბელხატოველმა ახალგაზრდებმა ჩემდამი პატივისცემა იმით გამოხატეს, რომ სასტუმრომდე სიმღერით მიმაცილეს, ოღონდ იმხელა შეგნება აღმოაჩნდათ, რომ "სანტინტან" მიახლოებულებმა ხმას დაუწიეს, ფეხბურთელები არ გავაღვიძოთო.

ჟურნალისტს **ლუკაში** ერქვა, იგი მეორე დღესაც ვნახე, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ძმაკაცურად გადამეხვია და მასალის გადმოგზავნაშიც დამეხმარა. ისიც მითხრა, თბილისის ნახვა მინდა ძალიან და ვინძლო ორ კვირაში შევხვდეთ კიდეცო.

შეზღუდული საგაზეთო ფართის გამო, ბელხატოვური მოგონებები აქ დავასრულოთ და ვისურვოთ: თბილისში "ამერსა" და "ბელხატოვს" შორის იმხელა სხვაობა ყოფილიყოს, რამხელა სხვაობითაც ქალაქი თბილისი ქალაქ ბელხატოვს სჯობს.

ლევან ჯანეზაშვილი
ბელხატოვი-თბილისი

CDN ხავხასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დაკავშირება;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული სარგებელი • გადასვლა სხვისგან გაუჭიანურად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИТАЛИИС ЕАКРЕБИ

ТОТИМ АЖУРИ ДАТОВА!

ГАДАЧЧЫВЕТИЛЕБА САБОЛООА, ФРАНЕИЕСКО МХОЛОД РОМАША ИТАМАШЕБС...

ТАВИДАН ес мхолод пауза иыо - **франеиеско тоти** амбобда, итаииис еакребши мхолод мнишвниован шехведребши итамашеб да исиц машин, роца саукетесыо формаши виднебио - да ес пауза саболоод имаши гадаихзарда, рома "сувадра ажурас" ме-10 номермса еакребо самудамод датова. 30 ылис фсиимеиидермса, саеакребо кариериис дасрулебис шесахеб журналистебс гушин гамартул пресконференциазе амцно. амриган, 2006 ылис мсофсиоис еемпионатис финаси тотисствис итаииис еакребши еатареебули укасаскнеси матеиа.

"гадачеетебис мидеба даниан гамиджрда, магрма ме вгрджнот пасухисмгебдобас "рома" мимарт да еакребидан ласвда амитомац гадавчеитд. шеидеба итвас, рома гадачеетебда "рома" сасаргебдод мивиеа. каендари даниан гадатвртулиа, амдени матеиа еатареба аар шемидеиа, рагдган мундиалис ин мидебулма травмма даниан дамасустма. вбухвар, магрма жанмртдоба пиреел адгилзе унда давеиен," - ганацхада тотим хсебулс пресконференциазе. арада, рогорц ицит, цотма хнис инаат тса, еакребс сектемберши давубрунебио.

амриган, итаииис еакребис истореиаши ференеиеско тоти, рогорц ебурთელი, укве ареулиа. "ажурис" маисурит мас 58 тамаши еаатара да 9 гоис гатана шедо. мартаиа, тоти танамедроебобис ерთ-ертми саукетесыо ебурთელია, магрма вер витвити, рома саеакребо кариериа грандиозули гамоувиди. 2002 ылис мундиалзе да 2004 ылис европис емпионатзе мас верафери гааеы, шаршандел мсофсиоис емпионатзе ки, травмис гамо фактобривад шесадебобебис 50 процентиц ки вер гамоавдина. самагиеироц, 2000 ылис европис емпионатзе ференеиескомс шесанишнавад иаспареза да мисиа шесадебобебс саебурთრთო самыарома сбрецд машин гаицно. миубедавад амиса, тоти саеакребо кариераса мсофсиоис емпионис ранга асрулебс.

ференеиескос еаклубо кариера ки грдедебда. шегахсенебт, рома гасул сезонши ис серия A-с саукетесыо бомбардира гахда, гаитана ра 26 гоис. амасстан, тоти оквроса бубциц даисакутра. серия A-ши, "рома" маисурит, 366 шехведраша 147 гоис адвс гатанили...



ференеиеско тоти



алена середова

МОЕДНИС МИОМА

БУФОНИ МАМА ГАХДЕБА

ИТАЛИУРИ ПРЕСА ГАУРКВЕВЕЛОБАШИА

ЕРთ-ЕРთი итаииури булгварули газети сенсациури цнобас авцелебс. итаииис еакребис мекарис, **жанлуиджи буфонис** мегобари гогона, ехби суперамодели **алена середова** фехбмдимедаа.

своред асеети сатаурит гамовида ыовелквиреули газети Star+Tv да машинви, итаииури пресаши намдвили аурзаури атыда. сенсациис саебрад тотмдиси ывела газетисса да журналис корспондентебс даидрнебс. пиреел ригши, мат ехби ламазмани мокитхеси, магрма аленасстан дакавшреба мхолод tgcom.it-ма маахерха, магрма середовасган верафери гаиго.

"коментарис гареше", - ганацхада аленам. середовас телефонши метти арафери утедвамс. журналистебис азриц, буфонис гермфрендиа мартла фехбмдимедаа, ооцнод ес ахали мамдари амбавиа да ехби малавс тавис мдгомареобас.

ам амбавма, тавис мхриц, буфонисса да середовас мосалодненли ворнебис тариоза саубреби нармоша, магрма аеаца диди гаурквевлобаа. ывили иседац бедниериа да уртиериобис официалурад гаформебас ар ехаримс. *"рогорц ки амис дрм мова, виворнебт, магрма жер аседац бедниериа вартт"*, - ацхадебс середова.

ференеиеско тоти

2004 ылис европис емпионатзе мас верафери гааеы, шаршандел мсофсиоис емпионатзе ки, травмис гамо фактобривад шесадебобебис 50 процентиц ки вер гамоавдина. самагиеироц, 2000 ылис европис емпионатзе ференеиескомс шесанишнавад иаспареза да мисиа шесадебобебс саебурთრთо самыарома сбрецд машин гаицно. миубедавад амиса, тоти саеакребо кариераса мсофсиоис емпионис ранга асрулебс.

ференеиескос еаклубо кариера ки грдедебда. шегахсенебт, рома гасул сезонши ис серия A-с саукетесыо бомбардира гахда, гаитана ра 26 гоис. амасстан, тоти оквроса бубциц даисакутра. серия A-ши, "рома" маисурит, 366 шехведраша 147 гоис адвс гатанили...

САВАРАУДО ТРАНСФЕРИ

ВЕСТ ХЕМИ ТЕВЕСС АР УШВЕБС

АРГЕНТИНЕЛИ ИУНАИТЕДШИ ДАРЧМУНЕБУЛИА

ЛОНДОНИС "вестс хемис" хелмдгванелта гангхадебиц, исини бомдо иборджолебс аргентинели форвардис, **каресс тевесис** шесанарчунебдад.

"цасахад цхада, рома ференеи контракти тевесстан абсолутурад легаиурса, асе рома, аргентинели 2010 ылмде ференеи саутмрцаа. "вестс хемс" ыеласфрс гаакетебс имисти, рома тевеси тави ригебши даитовс. тс фифа "манчестер иунаитедис" сасаргебдод гамоитанс вердиитс, маинц ар гавчердебит да апелациаис шевитант", - мохыавс "вестс хемис" ертериа чамомадгенелис ситыеебс "сдаи спортс".

ам гаджиануребул истореиас тавад фехбртелиц гамоехмаура, ромелиц амуамад манчестерши имыофебс да ам гунедши самедицино шемомдебис гавсласс елис. аргентинелс ежви ар епареба, рома мис "манчестер иунаитедши" гадасвла дроис сакитхиа.

"мнда исеве дамртонт "манчестерши" гадасвлис ненба, рогорц ес хавиер маскеранс шемомхвевашши мохда, ромелиц шаршан, "ливерпулши" амомчнда. чемс азриц, прблема имашиа, рома клубебс саатранспорт танхазе вер танхмдебиан. имедс маквс, "вестс хемс" чемс интересебс гаитвалисчнебс да "иунаитедши" гасвлис уфлебас ммцемс. асе рома, дарчмунебули вар - гаисад инглисис чемпионтта ливгаши витамашеб", - амбобс каресс тевесис.

ВАРСКВЛАВИ

БЕКХЕМИС УЦНАУРИ ДАПАТИЖЕБА

УКВЕ ицит, рома **девид бекхемс** микро травма аеутебс да шесадебоа, "галаксис" ирсебс "челсистан" матчши вер даицвас. ециметебс инглисели варсквлавс уахлоеса ммавашши самедицино гамоквлевис сабоо дасквнас гаугзавниан. манамде ки бекхемс ахасахлобиствис емзадебс. виктореиастан ертад девидма ес анжелесис престижули убанши, бевервли хилсши саучхо вила шеарчиа. ес-ммарма ахали да двели мегобребиствис пмпезури саамос мочобс гадаеывитес. бекхемма ахасахлобзе "галаксис" мтели шемадгенелобс, холивудис мсахиобебс, политикосебс да европели мегобребс дапатижес. ерთი шехведрит, сулгрдели адамианис сулгрдели сацииеа, магрма бекхеми рис бекхеми ицебодс, уцнаурмбитац рома ар гамочнда тави. инглисели варсквлавма укелебдив ыеласа дапатижебули гаафртхила, фотто апаратебс ар мамиоотт. тс вимме сурати гадаиеебс, иулебули гавхдебс, ми сахли давтовебиноо.

девид бекхеми

ДЕЕС БЕКХЕМИ ВЕР ИТАМАШЕБС

РОГОРც ჩანს, დღეს არ შედგება "ლოს ანჯელეს გალაქსიში" **დევიდ ბეკჰემის** დებიუტი. ამერიკული კლუბი ამხანაგურ მატჩში "ჩელსის" ხვდება და მარცხენა ფეხის ტრავმის გამო, ინგლისელი ნახევარმცველის თამაში ეჭვქვეშ დგას.

"ტრავმა თითქმის ბოლომდე მოვირჩინე, მაგრამ სავარაუდოდ, ექიმები თამაშის ნებას არ დამრთავენ. მათ ვეთანხმები. აქ ერთი მატჩის სათამაშოდ არ ჩამოვსულვარ და ამიტომაც არ ღირს გარისკვა. წინ კიდევ ხუთი წელიწადი მაქვს და თავის გამოჩენის საშუალება არაერთხელ მომეცემა", - განუცხადა ბეკჰემმა ტელეკომპანია ESPN-ს და იქვე დაამატა, რომ შესაძლოა დღეს, მატჩის ბოლოს შეცვლაზე მაინც შევიდეს მოედანზე.

ლიონის დიარა ბორდოში მიდის

"ლიონის" საყრდენი ნახევარმცველი **ალუ დიარა** "ბორდოში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. საფრანგეთის ჩემპიონის პრეზიდენტის, **ჟან-მიშელ ოლას** ინფორმაციით, ეს ტრანსფერი რამდენიმე დღეში განხორციელდება და "ლიონი" დიარას სანაცვლოდ 7.75 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ლიონელებმა ეს ფეხბურთელი შარშან, "რეალში" წასული **მაჰამადუ დიარას** ნაცვლად შეიძინეს.

ივან ელგერა ვალენსიას დარჩება

მადრიდის "რეალმა" და "ვალენსიამ" **ივან ელგერას** ტრანსფერის საკითხი შეთანხმეს. ესპანეთის ნაკრების მცველი "ღამურების" რიგებში გადადის - იუწყება tuttomercatoweb.

ინტერნეტ-გამოცემის ცნობით, ელეგერა "ვალენსიასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

ჰენდრიმ პრემიერლიგა შეფილდზე გაცვალა

"ასტონ ვილას" 30 წლის ნახევარმცველი **ლი ჰენდრი** "შეფილდ იუნაიტედში" გადავიდა.

"ინგლისის უმაღლეს დივიზიონში თამაშის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ ბოლოს, "შეფილდში" წასვლა ვარჩიე, რადგან ეს დიდი კლუბია. გარდა ამისა, ბრაიან რობსონთან მუშაობის შესაძლებლობა მომეცა და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ მინდოდა", - ამბობს ჰენდრი.

წელეულს, "შეფილდი" პრემიერლიგიდან ქვედა დივიზიონში გავარდა. ჰენდრი ამ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და "იუნაიტედთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ინიესტა ბარსელონაში დარჩება

როგორც გუშინ ვწერდით, "რეალის" ბანაკიდან სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა - "სამეფო კლუბი" მზადაა, 60 მილიონი დოლარი გადაიხადოს "ბარსელონას" ნახევარმცველ **ანდრეს ინიესტაში**.

მადრიდელთა წინადადებას "ბარსას" პრეზიდენტი **ხოან ლაპორტა** გამოეხმაურა. აი, რა განაცხადა მან: *"ინიესტა არ იყიდება. ის გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა და კარიერას "ბარსელონაში" დაასრულებს. ის ვერ დატოვებს ჩვენს გუნდს, რადგან შეუფასებელი მოთამაშეა და ჩვენთან კარგად გრძნობს თავს"*.

ვიერის შემდეგ, სემიოლი

კრისტიან ვიერის გაფორმების შემდეგ, "ფიორენტინამ" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. ფლორენციელებმა "კიევოდან" 26 წლის ნახევარმცველი **ფრანკო სემიოლი** დაიმატეს.

ამ ფეხბურთელმა "ფიორენტინასთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

ტაკინარდი კლუბს ეძებს

უკლუბოდ დარჩენილ იტალიელ **ალესიო ტაკინარდის** "ვოლფსბურგი" ეპატიჟება.

"მინდა ორი-სამი წელიწადი უმაღლეს დონეზე ვითამაშო და ამიტომაც ყველა წინადადებას სერიოზულად განვიხილავ", - აცხადებს ტაკინარდი.

როგორც იცით, 31 წლის ნახევარმცველმა ბოლო ორი სეზონი "ვილიარეალში" არენდის წესით გაატარა, ცოტა ხნის წინათ კი, "იუვენტუსთან" კონტრაქტი გაწყვიტა, რომელიც 2008 წლამდე იყო გაფორმებული.

სხვათა შორის, ტაკინარდით "ატალანტა" და "ზალცბურგიც" არიან დაინტერესებულნი.

პსჟ დაცვაზე ზრუნავს

"პარი სენ-ჟერმენმა" დაცვის ხაზი "რენის" 23 წლის მცველით, **გრეგორი ბურიიონით** გააძლიერა. ეს ტრანსფერი დედაქალაქურ კლუბს 3.5 მილიონი ევრო დაუჯდა.

ბურიიონმა პსჟ-სთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

კოლინა მსაჯების მსაჯი გახდა

პიერლუიჯი კოლინა იტალიის მთავარი არბიტრი გახდა. მომავალი სეზონიდან, ამ ლეგენდარულ მსაჯს სერია A-სა და B-ს მატჩებზე არბიტრების დანიშვნა დაევალება.

"მთელს ჩემს გამოცდილებას გამოვიყენებ იმისთვის, რომ ახალი დავალება ღირსეულად შევასრულო. იმედი მაქვს, ამ გამოცდილებას ჩემი კოლეგებიც გაიზიარებენ", - განაცხადა კოლინამ.

ანრი ჯერ ვერ ითამაშებს

"ბარსელონას" ახალწვეული **ტიერი ანრი** კატალონურ კლუბს შოტლანდიურ ტურნეში ვერ გაჰყვება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფრანგი ფორვარდი ჯერ შორს არის თავისი ოპტიმალური ფორმისგან.

"ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ვარჯიში დავიწყე. ჯერ ფეხბურთის სათამაშოდ მზად არ ვარ, რადგან ოთხი თვის განმავლობაში ტრავმის მკურნალობით ვიყავი დაკავებული", - განაცხადა ანრიმ.

ურიბე პერუდან გააგდეს

კოპა ამერიკას შემდეგ, კიდევ ერთი სამხრეთამერიკული გუნდი დარჩა მწვრთნელის გარეშე. პერუს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს **ხულიო სეზარ ურიბე**. მისი გაშვების მიზეზი კოპაზე პერუს ნაკრების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლა გახდა. მართალია, ამ გუნდმა მეოთხეფინალამდე გააღწია, მაგრამ იქ 0:4 დამარცხდა არგენტინასთან.

აღსანიშნავია, რომ ურიბემ პერუს ნაკრები ოთხი თვის წინათ ჩაიბარა.

პირსმა კონტრაქტი გაახანგრძლივა

სტიუარტ პირსმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ის კიდევ ორი წელიწადი იქნება ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. პირსმა ეს გუნდი 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გაიყვანოს.

პირსმა ნაკრები ამა წლის თებერვალში ჩაიბარა, როცა ის ჯერ კიდევ "მანჩესტერ სიტის" დამრიგებელი იყო, მაგრამ მარტში "სიტიდან" დათხოვნის შემდეგ, მთლიანად ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობაზე გადაერთო და ზაფხულში, გუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც მასპინძელ ჰოლანდიასთან პენალტების დრამატულ სერიაში - 12:13 დამარცხდა.

ბარეტო: ნიიმეგენიდან რეჯინაში

პარაგვაის ნაკრების ნახევარმცველი **ედგარ ბარეტო** "რეჯინაში" გადავიდა. მანამდე, ამ ფეხბურთელმა ჰოლანდიაში, კერძოდ კი, "ნიიმეგენში" ოთხი სეზონი გაატარა.

23 წლის ბარეტოს პარაგვაის ნაკრებში 17 მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი.

პულიდო ალმერიაში გადავიდა

პრივერადივიზიონის დებიუტანტმა "ალმერიამ" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა მცველ **რუბენ პულიდოსთან**, რომელსაც "ხეტაფესთან" კონტრაქტი დაუმთავრდა.

28 წლის ფეხბურთელის ხელფასი წელიწადში 500 ათასი ევრო იქნება. პულიდო "ხეტაფემდე" მადრიდის "რეალის" მეორე გუნდსა და "რაიო ვალეკანოში" თამაშობდი.

ბოჟინოვი ლაციოში?

რგბორგ უკვე ვნერდით, "ფიორენტინამ" ტრანსფერზე დააყენა ბულგარელი ფორვარდი **ვალერი ბოჟინოვი**, რომელსაც უკვე გამოუჩნდა პირველი მყიდველი. ეს გახლავთ რომის "ლაციო".

ფლორენციელი კლუბი ბულგარელ თავდამსხმელს 12 მილიონ ევროდ აფასებს, მაგრამ იტალიური პრესა წერს, რომ მხარეები შესაძლოა 10 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ბოჟინოვისადმი ინტერესი რუსულმა კლუბებმა - "სპარტაკმა" და ცსკა-მ დაადასტურეს.

სელტიკმა ყველა ვარსკვლავთან წააგო

ამერიკულ ტურნეში იმყოფება შოტლანდიის ჩემპიონი "სელტიკი". ბრიტანელებმა დენვერში საინტერესო ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. მათ წინააღმდეგ ამერიკის ლიგის (MLS) "ყველა ვარსკვლავის" გუნდმა ითამაშა.

შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა - "სელტიკმა" 0:2 დათმო მატჩი. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს **ხუან ტოხამ** და "ასტონ ვილას" ყოფილმა ფორვარდმა, კოლუმბიელმა **ხუან პაბლო ანხელმა**.

ფინალი: არგენტინა-ჩეხეთი

კანადაში მიმდინარე 20-ნლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალური წყვილი დაკომპლექტდა. ჩეხეთის ნაკრებს შეუერთდა არგენტინა, რომელმაც მეორე ნახევარფინალში ჩილეს ნაკრები გაანადგურა - 3:0.

ჩილელები ამჯერადაც უხეშობით გამოირჩნენ და ამ გუნდს მსაჯმა ორი ფეხბურთელი გაუძევა - **მედელი** და **კურიმილა**. რაც შეეხება გოლებს, თავი გამოიჩინეს **დი მარიამ** (მე-13 წუთი), **იაკობმა** (65) და **მორალესმა** (90).

ვილიარეალმა ჟიგიჩი დაიმატა

"ვილიარეალმა" ახალი სეზონისთვის მორიგი ფეხბურთელი შეიძინა. ეს გახლავთ სერბეთის ნაკრების ფორვარდი **ნიკოლა ჟიგიჩი**, რომელიც "ფიორენტინას" საკუთრებაა, თუმცა შარშან "მალიორკას" ღირსებას იცავდა.

ტრანსფერის თანხამ 18 მილიონი ევრო შეადგინა

რეალი ყველაზე პოპულარულია

ორგანიზაცია European Football search-მა გულშემატკივრებს შორის საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ამ მომენტისთვის, მსოფლიოში ყველაზე მეტი ქომაგი მადრიდის "რეალს" ჰყავს - 20 მილიონი. მათგან 10 მილიონი ესპანეთში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი - უცხოეთში.

სულ მცირედით ჩამორჩება "სამეფო კლუბს" "ბარსელონა" - მის გულშემატკივართა რიცხვმა 19.3 მილიონი შეადგინა (60 პროცენტი უცხოელები), მესამეზეა "იუვენტუსი" - 12 მილიონი (76 პროცენტი იტალიაში). შემდეგ მოდიან მილანური კლუბები - "მილანი" (9.2 მილიონი) და "ინტერი" (7.6 მილიონი).

გამოკითხვა ხუთ ქვეყანაში - ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ესპანეთში ჩატარდა.

ბერბატოვი ტოტენჰემს არ დატოვებს

"ტოტენჰემის" ფორვარდი **დიმიტარ ბერბატოვი** მზად არის, ახალი კონტრაქტი გააფორმოს ლონდონურ კლუბთან და ამით ბოლო მოუღოს იმ ჭორებს, რომელთა მიხედვითაც, ის "ლივერპულში" ან "მანჩესტერ იუნაიტედში" გაგრძელებს კარიერას.

ბულგარელის აგენტმა **ემილ დანცევმა** დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ ის უახლოეს დღეებში "ტოტენჰემის" პრეზიდენტ **დანიელ ლევისთან** გამართავს მოლაპარაკებებს.

მალიორკამ დავიდ ნავარო შეიძინა

გუშინ, "მალიორკამ" ჟურნალისტების წინაშე ახალი ფეხბურთელი წარადგინა. ეს გახლავთ "ვალენსიას" ან უკვე ყოფილი ცენტრალური მცველი **დავიდ ნავარო**.

ვალენსიელთა დამრიგებელმა **კიკე ფლორესმა** ამ ფეხბურთელისთვის ვერ გამონახა ადგილი თავის გუნდში და ის ჰოლანდიურ შეკრებაზე არ წაიყვანა.

ლიდსში ხელფასებს არ იძლევიან

"ლიდსის" გასხვისების გაუთავებელმა ისტორიამ ის გამოინვია, რომ კლუბის ფეხბურთელები, რომლებიც ამჟამად გერმანიაში შეკრებაზე იმყოფებიან, აგერ უკვე 6 თვეა ვერ იღებენ კუთვნილ ხელფასებს.

11 ივლისს, ბიზნესმენმა **კენ ბეიტსმა** მოიგო ტენდერი და კლუბის შეძენის უფლება მიიღო, მაგრამ ეს პროცესი გაინელა. არადა, ახალი მფლობელის გამოვლენის შემდეგ, ფეხბურთელებს ეგონათ, რომ მათი პრობლემები მალე მოგვარდებოდა.

"ეს სრული ქაოსია. პრობლემა სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, თორემ ფეხბურთელთა მოთმინება ზღვარზეა მისული", - განაცხადა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის პროფკავშირის წარმომადგენელმა **მიკ მაგვაიერმა**.

ბარსელონა

მილანმა ბრძოლა წააგო

გალიანიმ კაპიტულაცია გამოაცხადა

ეტოო და რონალდინიო

"მილანმა" **სამუელ ეტოოსა** და **რონალდინიოს** ხელში ჩაგდების იმედი საბოლოოდ დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, იტალიური პრესა გვარწმუნებს, რომ "როსონერის" ხელმძღვანელობა წლეულს ბარსელონელებისთვის ბრძოლას აღარ გააგრძელებს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "ლა გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული **ადრიანო გალიანის** განცხადების ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"დავრწმუნდი, რომ ჩვენს კატალონიელ კოლეგებს ეტოოსა და რონალდინიოს გაყიდვა არ სურთ. არადა, მათ სანაცვლოდ კოლოსალურ თანხას ვიხდიდით. მზად ვიყავით, გაუჩო 100 მილიონ ევროდ გვეყიდა. კამერუნელს კი 50 მილიონად გადმოვიბირებდით. ამ თანხად "ბარსას" შეეძლო ერთი ახალი გუნდი დაეკომპლექტებინა, მაგრამ ხოან ლაპორტა ვერაფრით მოვხიბლეთ. არც მიკვირს, სრულიად ლოგიკურია, როცა პრეზიდენტს საუკეთესო მოთამაშეების სხვაგან გაშვება არ სურს. მოკლედ, ამჯერად ბრძოლას ვწყვეტთ. მომავალში კი შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს."*

ლაპორტას წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მთავარი როლი მაინც თავად ფეხბურთელების პოზიციამ შეასრულა. რონალდინიომ რამდენიმე კვირის წინათ დაუფარავად განაცხადა, "კამპ ნოუდან" წასვლას არ ვაპირებო. გაუჩოს ეტოომაც აუბა მხარი და მილანელებს ასეთი რამ შეუთვალა: *"ისეთი დიდი კლუბის დაინტერესება, როგორიც "მილანია", ჩემთვის ძალიან საამაყოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ გუნდმა წლეულს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, თუმცა მსურს ყველამ იცოდეს, რომ "ბარსელონაში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. იტალიელებს გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. იმედია, ძალიან არ მიწყენენ, რომ "ბარსას" ერთგული დავრჩი. ამ ეტაპზე აქ დარჩენა მირჩევნია, მომავალში კი ვნახოთ, რა მოხდება."*

ამასობაში, "კამპ ნოუზე" **გაბრიელ მილიტოს** პრეზენტაცია მოეყო. არგენტინელი მცველი საზოგადოებას **ჩიკი ბეგირისტაინმა** და ხოან ლაპორტამ წარუდგინეს. როგორც ყოველთვის, ახალწვეულს მაისურა გადასცეს და სთხოვეს, ფოტო და ტელე კამერების წინ ბურთი აეკენწლა. ბოლოს მილიტომ საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა. არგენტინელმა იმ მიზეზებზე ისაუბრა, რომლებმაც მას კარიერის "ბარსელონაში" გაგრძელება გადააწყვეტინა: *"კოპა ამერიკის მსვლელობისას ლეო მესი "ბარსაზე" ძალიან ბევრს მელაპარაკებოდა. როცა საუბრობდა, თვალებში ცეცხლი ენთებოდა და ვატყობდი, რომ საკუთარ კლუბზე ჭკუა ეკეტებოდა. არ დაგიმალავთ, მისი ენთუზიაზმითა და აღტაცებით მოვინამლე. ბუნებრივია, კატალონიურ გრანდზე ძალიან ბევრი ინფორმაცია მქონდა, მაგრამ ლეოს ემოციურმა თხრობამ "კამპ ნოუზე" გადმობარგების სურვილი გამიძლიერა. პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს გუნდში მოვხვდი. ამიერიდან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დამეკისრება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ხელმძღვანელობა ჩემით კმაყოფილი დარჩეს."*

გუშინ **ანდრეს ინიესტა** "დიარიო მარკაში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას გამოეხმაურა. შეგახსენებთ, მადრიდელი გაზეთი გვარწმუნებდა, რომ სამეფო კლუბი ინიესტას სანაცვლოდ 60 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. ანდრესი ამ ცნობით გაოცებული დარჩა: *"წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია. ჩემთვის არავის უთქვამს, "რეალი" გეპატიჟებაო. ასეც რომ იყოს, "კამპ ნოუს" მაინც არ დავტოვებ. ჩემი კლუბისადმი სიყვარული არაერთხელ გამომიხატავს. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ კარიერის "ბარსელონაში" დასრულება მსურს. ასე რომ, ზედმეტი და ფუჭი აქტიურობით ნურავინ შეინუხებს თავს."*

სევილია

იგლი ტარე კანუტეს ნაცვლად?

ანდალუსიელთა საუკეთესო მეგოლეს ხელფასს თუ არ გაუზრდიან, პორტსმუთში წავა



იგლი ტარე

ჯერ კიდევ გასული სეზონის დასრულებამდე ითქვა, რომ **ფრედერიკ კანუტემ** "სევილიაზე" გული აიცრუა და ინგლისში გადაბარგება გადაწყვიტაო. ამის მიზეზად აფრიკელი ფორვარდი დაბალ ხელფასს ასახელებდა. ანდალუსიელებს ერთხელაც არ უთქვამთ, რომ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს გასამრჯელო მოუმატეს. აქედან გამომდინარე, საკითხი დღემდე ღიად რჩება. ბუნებრივია, არაერთი კლუბი ეცდება, შექმნილი სიტუაციით ისარგებლოს და კანუტე გადაიბიროს. ასეცაა, გუშინ ფრედერიკს თანამშრომლობის სურვილით "პორტსმუთმა" მიმართა. ბრიტანელები მზად არიან, "სევილიას" რვა მილიონი ევრო გადაუხადონ. ანდალუსიელთა პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ესპანურ პრესაში კანუტეს შესაძლო წასვლაზე მთელი სერიოზულობით საუბრობენ. იმ შემთხვევაში, თუ აფრიკელი "სანჩეს პისხუანს" მართლაც დატოვებს, სევილიელები "ლაციოდან" **იგლი ტარეს** გადაიბირებენ. სიმართლე ითქვას, ცოტა გაუგებარია, რატომ უნდა დათანხმდეს პრეზიდენტი **ხოსე მანუელ დელ ნიდო** ამგვარ ოპერაციას? 34 წლის ალბანელმა გასული სეზონის უდიდესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. კანუტე კი კლუბის საუკეთესო მეგოლე გახლდათ. მოკლედ, თუ დელ ნიდოს ხარისხის შენარჩუნება სურს, ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრას და ფრედერიკის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მალიელი მომავალ სეზონს სხვაგან გაატარებს.

აიაქსი

ურსაისი ამსტერდამ არენაზე

ვეტერანი ბასკის ტრანსფერით მიმომხილველები განცვიფრებულები არიან

"ბილბაოს" ყოფილი ცენტრ ფორვარდი, **ისმაელ ურსაისი** გუშინ "აიაქსის" ფეხბურთელი გახდა. ვეტერანმა ბასკმა ამსტერდამულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ ურსაისის აგენტმა, **ჩირი ოლარდიკოეჩეამ** განაცხადა. ახალი ამბავი მიმომხილველთა უმრავლესობისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ 22 ივლისს ისმაელმა მშობლიური "ბილბაოდან" წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ყველა ფიქრობდა, რომ 36 წლის ვეტერანი ამის შემდეგ კარიერას დაასრულებდა. საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ის გამოსათხოვარი მატჩის თარიღს მალე დაასახელებდა, თუმცა როგორც ხედავთ, პროგნოზი არ გამართლდა. ურსაისმა "სან მამესზე" 11 სეზონი გაატარა. ბასკურ კლუბში კარგი თამაშით მან ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელების ყურადღებაც მიიპყრო. იყო დრო, როცა ეროვნულ გუნდში სისტემატურად იძახებდნენ. ერთი შეხედვით, ამ კაცმა ფეხბურთში ბევრი რამ ნახა და შესაძლებლობებიც ამოწურა, მაგრამ ურსაისს ხელისი არ დაუკარგავს. ალბათ, გაინტერესებთ, რის გამო გადაწყვიტა 36 წლის ისმაელმა "აიაქსში" გადაბარგება. ამაზე თავად ფეხბურთელმა სრულიად გულწრფელად ისაუბრა: *"არ დაგიმალავთ, ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ჰოლანდიური გრანდი კონტრაქტის გაფორმებას მთავაზობდა. ვფიქრობდი, დაბერებული ურსაისი აღარავის გაახსენდებოდა. როცა მენეჯერმა მითხრა, "აიაქსი" თანამშრომლობას გთავაზობსო, მეგონა, დამცინოდა... თუმცა მათი წერილი მაჩვენა და სახტად დავრჩი. გადავწყვიტე, ამსტერდამს გავფრენილიყავი. ხელმძღვანელების წინადადება მოვისმინე და დავთანხმდი კიდეც. გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შესაძლებლობა მექნება. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად მოტივირებული ვარ. თითქოს ძალიან ახალგაზრდა ფორვარდი ვიყო. პატარა ბიჭივით მიხარია. ტენ კეიტთან (აიაქსის მთავარი მწვრთნელი) საუბრებმა ოპტიმიზმით ამავსო. დავრწმუნდი, რომ ეს გუნდი ამბიციურ მიზნებს ისახავს. რა თქმა უნდა, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა. მოკლედ, ცხოვრებამ შესანიშნავი საჩუქარი გამიკეთა. შევეცდები, გაცემული ავანსები გავამართლო და "აიაქსს" მნიშვნელოვანი გოლებით დავეხმარო."*

ურსაისი რამდენიმე დღით ბილბაოში დაბრუნდება. მოკლე შვებულების შემდეგ კი ამსტერდამელ თანაგუნდელებთან ერთად ინტენსიურ მზადებას შეუდგება. შესაძლოა, დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ **ტენ კეიტი** ბასკს ძირითადი შემადგენლობის ფორვარდად მოიაზრებს. გასაგებია, რომ მას ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში სოლიდური გამოცდილება დაუგროვდა, მაგრამ ასაკსაც ხომ აქვს მნიშვნელობა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ თომას შაააფთან

ვერდერმა უნდა შეუჭიოს, სხვანაირად წარმოუდგენელია!

ბრემენელთა დამრიგებელი არ დაუშვებს, რომ ბუნდესლიგაში რომელიმე გუნდმა მუსიკოსებზე მეტი გოლი გაიტანოს...



თომას შააფი

მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერმა“ მიროსლავ კლოზე დაკარგა და მისი ღირსეული შემცვლელი არ უყიდია („მუსიკოსებს“ ფორვარდი საერთოდ არ შეუძენიათ), ბრემენული კლუბი მაინც ბუნდესლიგის მომავალი სეზონის ერთ-ერთი ფავორიტია. სამაგიეროდ, „ვერდერმა“ ბრაზილიელი ნახევარმცველი კარლოს ალბერტო იყიდა და ბრემენში ამ ახალგაზრდა ტალანტზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი „მუსიკოსებს“ ხვალ აქვთ - გერმანიის ლიგის თასის მეოთხედფინალში „ბაიერნსა“ და კლოზეს ხვდებიან. მატჩის წინ „კიკერი“ „ვერდერის“ თავკაც თომას შააფს გაესაუბრა.

- ჰერ შააფ, საუბარი კარლოს ალბერტოთი დავიწყოთ, რადგან ეს ფეხბურთელი ჯერჯერობით, „ვერდერის“ ერთადერთი ახალწვეულია. მან უკვე ჩაატარა რამდენიმე ვარჯიში თქვენი ხელმძღვანელობით და ითამაშა „ლივერპულთან“. რას იტყვით დიეგოს მეგობარზე?

- კარლოს ალბერტოს აქტუალური ფორმითა და მომზადებით კმაყოფილი ვარ. გუნდს საკმაოდ კარგად შეეწყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ როგორც ყველა ახალგაზრდა მოთამაშეს, ადაპტაციისთვის მასაც გარკვეული დრო დასჭირდება. ჩვენც არსად გვეჩქარება – მას დროს მივცემთ.

- მის ტრანსფერს ძალიან დიდხანს ელოდით. ბევრი ინერვიულეთ?

- არა, რადგან ალბერტოსგან თანხმობა მიღებული გვქონდა და როცა მოთამაშე გეტყვის, გადმოსვლა მინდაო, უკვე იცი, რომ ადრე თუ გვიან, ის შენი ფეხბურთელი გახდება. თუმცა რა დასამალია, რომ მაინც უკმაყოფილო დავრჩი, რადგან მერჩივნა, რომ გაცილებით ადრე გადმოსულიყო და ის დაკარგული დღეებიც ადაპტაციისთვის გამოეყენებინა. მაგრამ უშუალოდ ფეხბურთელს ვერაფერს დავაბრალებ. საბოლოო ჯამში კი, ძალიან მიხარია, რომ „ვერდერის“ წევრი გახდა.

- შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, შარშანწინ კონფედერაციის თასი, ახლა კი პირველად მოგეცათ იმის საშუალება, რომ კარგად დასვენებული ფეხბურთელები გევარჯიშებინათ. იყო თუ არა მოსამზადებელი შეკრება ყოველმხრივ სრულყოფილი?

- არა, რადგან სრულყოფილი შეკრება დიდი ხანია, არა მარტო ჩვენ, არამედ საერთოდ არავის ჰქონია.

- რას გულისხმობთ?

- კოპა ამერიკა, 20 და 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატები... ახალგაზრდა ფეხბურთელები ძალიან გვეღლებიან, არადა, დასვენება ყველაზე მეტად სწორედ მათ სჭირდებათ. მაგალითად, მარტინ ჰარნიკი - წესით, შეკრებაზე თავი უნდა გამოიჩინოს, რათა დამიმტკიცოს, რომ პირველ გუნდში გადაყვანის ღირსია, მაგრამ ძალიან გადაღლილია და ამას ვერ ახერხებს. ჩვენ მუდმივად ვამბობთ, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებს დამკვიდრების შანსი უნდა მივცეთ, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, როცა ამ შანსს გადატვირთული კალენდრით თვითონვე ვუსპობთ?

- თანაც, სეზონი ჯერ არ დაწყებულა და უკვე გყავთ ტრავმირებული ფეხბურთელები...

- სწორედ ამას ვგულისხმობ. ეს ძალიან ცუდია. ამას გარდა, ჯერ არ დაბრუნებულან ნალდო და დიეგო, რადგან კოპა ამერიკის შემდეგ დასვენება სჭირდებათ. სამაგიეროდ, „ვერდერის“ პლუსი ის გახლავთ, რომ ბევრი ახალწვეული არ გვყავს და შესაბამისად, ადაპტაციაც მხოლოდ კარლოს ალბერტოს სჭირდება. მიხარია, რომ როზენბერგი და ნიმაიერი ჯერ კიდევ ზამთარში შევიძინეთ.

- ამასთან, ვარჯიშის მაქსიმალურად ინდივიდუალიზება სწორედ თქვენი იდეა იყო...

- დიახ და ბევრმა არც იცის, რომ „ვერდერში“ ამას უკვე ძალიან დიდი ხანია, ვაკეთებთ. გერმანიაში ხალხმა ეს მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა ამის თაობაზე იურგენ კლინსმანმა ისაუბრა. არადა, უკვე 4-5 წელიწადია, რაც ასე ვაკეთებთ.

- კარლოს ალბერტოს სახით გუნდში უკვე მეორე დრიბლიორი გყავთ. ხომ არ შიშობთ, რომ „ვერდერი“ სწრაფ ტემპში თამაშს ვეღარ შეძლებს?

- არა, რადგან ვიცით, რაც შეუძლიათ ჩვენს ბრაზილიელებს. ალბერტო სულაც არ არის ზანტი და ვარჯიშებზეც ჩანს, რომ დიეგოსთან ძალიან სწრაფი კომბინაციების გათამაშება შეუძლია. ესეც არ იყოს, ერთი-ერთზე თამაშის დროს ორივე ძალიან ძლიერია – ისევე, როგორც დიეგოსთვის, ერთი მეტოქის მოტყუება პრობლემას არც ალბერტოსთვის წარმოადგენს. ასე რომ, მათ თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ.

- იქნებ სათამაშო სტილის შეცვლას აპირებთ?

- არა! ცხადია, რაღაც შეიცვლება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა, „ვერდერი“ მუდმივად პროგრესირებდეს, მაგრამ გუნდის ფილოსფიას არავინ შეცვლის – „ვერდერმა“ მუდმივად შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს, სხვანაირად წარმოუდგენელია. და არ უნდა დავუშვათ, რომ ბუნდესლიგაში რომელიმე გუნდმა ჩვენზე მეტი გოლი გაიტანოს.

- კლოზეს შემცვლელი არ გიყიდიათ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მის ღირსეულ შემცვლელს არც ეძებთ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ტაქტიკური სქემა შეიცვლება და „ვერდერი“, მაგალითად, ერთი ფორვარდითა და მის უკან განლაგებული სამი შემტევი ნახევარმცველითა და ორი საყრდენით ითამაშებს?

- არა, „ვერდერი“ მომავალ სეზონშიც ორი ფორვარდით იასპარეზებს.

- კლოზეს გარეშე რას და როგორ აპირებთ?

- ცხადია, რომ პირველ ეტაპზე ის ძალიან დაგვაკლდება, რადგან გუნდი მიროსთან ერთად თამაშსაა მიჩვეული, მაგრამ მე ვენდობი სხვა თავდამსხმელებს. თანაც, კლოზეს წასვლით სხვებს მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი. მაგალითად, მარკუს როზენბერგს, რომელიც ჩინებული თავდამსხმელია.

- გიხარიათ, გუნდში ტიპიური ათი ნომერი რომ გყავთ?

- რატომ მეკითხებით?

- იმიტომ, რომ „ბაიერნმა“ გამთამაშებელზე უარი თქვა და ფლანგები გააძლიერა...

- თუ გსურთ, რომ „ბაიერნის“ სატრანსფერო პოლიტიკა გავაკრიტიკო, არაფერი გამოგივათ. მიუნხენელებს თავიანთი ფილოსოფია აქვთ, ჩვენ კი - ჩვენი. კლასიკური გამთამაშებელი ზოგ გუნდს სჭირდება, ზოგს კი არა. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ვერდერს“ დიეგო ძალიან სჭირდება.

- მერტეზაკერი ტრავმირებულია. ამის გამო ძალიან ნერვიულობთ?

- პერმა ძალიან მოკლე დროში მოყვარულებიდან ბუნდესლიგაში, მერე კი ეგრევე გერმანიის ნაკრებში გადაინაცვლა. მის სხეულს დრო უნდა მივცეთ, თორემ აშკარად ეტყობა, რომ გადატვირთულია და არ მინდა, რომ ტრავმებმა გატანჯოს.

გოტფრიდ ლენცი

მიროსლავ კლოზე ახალი და ძველი კლუბების ფორმებით

გერმანიის ლიგის თასი

ყურადღების ცენტრში: მიროსლავ კლოზე!

ბაიერნი vs ვერდერი და იაშვილი vs კობიაშვილი

გერმანიაში სეზონი, ტრადიციულად, ლიგის თასის გათამაშებით იწყება, ტურნირით, რომელიც ერთი შეხედვით, არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ ფაქტია, რომ ლიგის თასს ექვსივე მონაწილე ძალიან სერიოზულად უყურებს. რაც არ უნდა იყოს, ეს, პირველ რიგში, მომავალი სეზონის გენერალური რეპეტიციაა. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ლიგის თასზე წინა სეზონში საუკეთესო ოთხეულში მოხვედრილი გუნდების გარდა, გერმანიის თასის მფლობელი და მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებული მონაწილეობს. ამ შემთხვევაში, თასის მფლობელი "ნიურნბერგია", რომელიც პირდაპირ ნახევარფინალშია, მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებული კი "კარლსრუეა", გუნდი, სადაც **ალექსანდრე იაშვილი** გადავიდა. "ნიურნბერგთან" და KSC-სთან ერთად, ტიტულისთვის ჩემპიონი "შტუტგარტი", ვიცე-ჩემპიონი "შალკე", მესამეადგილოსანი "ვერდერი" და მეოთხეადგილოსანი "ბაიერნი" იბრძოლებენ.

ტურნირს დღეს დიუსელდორფში "შალკესა" და "კარლსრუეს" დაპირისპირება გახსნის. ანუ, "LTU არენაზე" ერთმანეთის წინააღმდეგ **ლევან კობიაშვილი** და ალექსანდრე იაშვილი წარსდგებიან. ქართული დუელი ნამდვილად შედგება, რადგან ორივე ჩვენებური სრულ მზადყოფნაშია. თანაც, გამოცემა "კიკერი" კობისაც და იაშკასაც ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებს. კობიმ **ფაბიან ერნსტთან** ერთად საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია უნდა ჩაიბაროს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, **მირკო სლომკა** თავის გუნდს ნაცადი 4-2-1-3-ით ათამაშებს, სადაც ფლეიმეიქერი "ბაზელიდან" შეძენილი **ივან რაკიტიჩი** იქნება. სლომკას **რაფინია** და **კევინ კურანი** არ ეყოლება. ბრაზილიელი მარჯვენა მცველი ტრავმირებულია და მას დღეს სავარაუდოდ, **ბოენიში** შეცვლის. კურანი კი დისკვალიფიცირებული გახლავთ: კევინმა 2005 წლის ლიგის თასის ფინალში წითელი ბარათი მიიღო და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. შარშანდელ ტურნირზე კი "შალკემ" მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა. ასე რომ, კურანის კიდევ ერთი მატჩის გაშოტოვება უხდება. მას დღეს დანიელი **სიორენ ლარსენი** შეცვლის, რომელსაც ფლანგებიდან **ჯერალდ ასამოა** და **პეტერ ლოვენკრანდსი** მიეხმარებიან. აქვე გეტყვით, რომ შვებულებიდან ჯერ არ დაბრუნებულან ურუგვაელები **გუსტავო ვარელა** და **დარიო როდრიგესი**, რომლებმაც კოპა ამერიკაზე იასპარეზეს. ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** კი, რომელმაც გასული სეზონის ბოლოს კობიაშვილი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების რიგებში თამაშობს. რაც შეეხება "კარლსრუეს": იაშვილი თავდასხმაში, **ედმონდ კაპლანის** მეწყვილედ მოიაზრება. შეგახსენებთ, რომ "შალკესა" და "კარლსრუეს" შორის გამარჯვებული, ნახევარფინალში "ნიურნბერგს" შეხვდება.

ცხადია, ჩვენ ქართველების დუელი უფრო გვაინტერესებს, მაგრამ მთელი გერმანიის ყურადღება, რასაკვირველია, ორი გიგანტის, "ბაიერნისა" და "ვერდერის" ჯახისკენაა მიპყრობილი. თანაც, ამ მატჩმა **მიროსლავ კლოზეს** ტრანსფერის გამო დამატებითი, უდიდესი ინტრიგა შეიძინა. კლოზე ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ, თანაც, იმ ყველაფრის ფონზე, რაც მის "ბაიერნში" გადასვლას მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ ბრემენელმა ქომაგებმა მირო ჯერ კიდევ ტრანსფერის გაჩარხვამდე შეიძულეს და უსტვენდნენ, რადგან ის "ბაიერნის" შეფებს საიდუმლოდ შეხვდა. მერე კი, როცა კლოზე მიუნხენური გუნდის ფეხბურთელი გახდა, უკვე "ვერდერის" ფეხბურთელებმაც დაუწყეს ლანძღვა. ამ მხრივ თავი ყველაზე მეტად **ტორსტენ ფრინგსმა** გამოიდო, რომელიც ამბობდა, ჩვენი ქომაგები მართლები არიან, მირომ სტვენაზე მეტიც კი დაიმსახურაო. ფრინგსთან ერთად მიროს მეკარე **ტიმ ვიზეც** ლანძღავდა.

"მიხარია, რომ პირველივე ოფიციალური მატჩი "ვერდერთან" გვაქვს. ამ შეხვედრას რაც უფრო მალე მოვიშორებ, ჩემთვის მით უკეთესი იქნება, - ამბობს კლოზე და უნდა შეგახსენოთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ბუნდესლიგის მეორე ტურშიც შეხვდებიან (ბრემენში), - *რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებული შეხვედრაა. არა მგონია, რომ მთავარი ინტრიგა მე ვარ - "ბაიერნისა" და "ვერდერის" დაპირისპირება ხომ ყოველთვის ისედაც უდიდეს ინტერესს იწვევს."*

ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ბრემენელ ქომაგებს ამშვიდებს: *"თუ ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ კლოზე უმაღლესი კლასის თავდამსხმელია, იმედი მაქვს, რომ შაბათს ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან. ხოლო, რაც შეეხება ფრინგსს, ნამდვილად არ მეგონა, რომ ამ ბიჭს "ბაიერნი" ასე ძალიან სძულდა. მინდა, ტორსტენს გავახსენო, რომ ის "ბაიერნის" რიგებში ერთხელ გერმანიის ჩემპიონი გახდა."*

ოტმარ ჰიტცფელდი მოედანზე საუკეთესო შემადგენლობას ვერ გაიყვანს. **ვილი სანიოლი, ფრანკ რიბერი, მარკ ვან ბომელი, ლუკა ტონი, ხოსე ერნესტო სოსა, ლუკას პოდოლსკი** და **იან შლაუდრაფი** ტრავმირებულები არიან. "გენერალი" იძულებულია, თავდასხმაში, კლოზესთან ერთად ახალგაზრდა, მოყვარულთა გუნდის წევრი **სანდრო ვაგნერი** ათამაშოს, რადგან მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია (**სანტა კრუსი** ისვენებს). მარჯვენა ფლანგზე **ჰამით ალთინთოფს** ვიხილავთ, მარცხნივ კი **ბასტიან შვაინშტაიგერს**. ვან ბომელის შეცვლა კი **ოტლს** დაევალება, რომელიც ნახევარდაცვის ცენტრში **ზე რობერტოს** შეუწყვილდება.

"ვერდერის" უმთავრესი დანაკლისი **დიეგოსა** და **ნალდოს** არყოფნაა. კოპა ამერიკის გამარჯვებულები ჯერ კიდევ შვებულებაში არიან. სამაგიეროდ, **თომას შააფისთვის** უდიდესი შვებაა ის, რომ **პერ მერტეზაკერი** გამოჯანმრთელდა და დღეს აუცილებლად ითამაშებს. **პეტრი პასანენი** ტრავმირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მერტეს დაცვის ცენტრში კაპიტანი **ფრანკ ბაუმანი** შეუწყვილდება. გუშინ საღამომდე საეჭვო გახლდათ ახალწვეულ **კარლოს ალბერტოს** თამაში, რადგან ბრემენელებს მისი სატრანსფერო ფურცელი მიღებული არ ჰქონდათ და ამრიგად, ბრაზილიელის ოფიციალურ მატჩში გამოყენება არ შეეძლოთ. თუმცა დიდი შანსია, რომ შეხვედრამდე ეს დოკუმენტი მიიღონ. "ვერდერისა" და "ბაიერნს" შორის გამარჯვებულს, ნახევარფინალში ჩემპიონი "შტუტგარტი" ელის.

გოტფრიდ ლენცი

საპარაოდო შემადგენლობები

ვერდერი-ბაიერნი

ვერდერი: ვიზე, კ. ფრანტიცი, მერტეზაკერი, ბაუმანი, ვომე, ლ. ანდრეასენი, ფრინგსი, კარლოს ალბერტო, ბოროვსკი, როზენბერგი, ალმეიდა.

ბაიერნი: კანი, ლამი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ჰამით ალთინთოფი, ოტლი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, ვაგნერი, ლუნზე.

მსაჯი: ტორსტენ კინპიოფერი.

შალკე-კარლსრუე

შალკე: ნოიერი, ბოენიში, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, კობიაშვილი, რაკიტიჩი, ასამოა, ლარსენი, ლოვენკრანდსი.

კარლსრუე: მ. მილერი, გიორლიტცი, ფრანცი, ეგიმანი, აიხნერი, ადუბე, კარნელი, მუტცელი, ჰაინალი, იაშვილი, კაპლანი.

მსაჯი: ტორსტენ კინპიოფერი.

ეროვნული სპორტი

პორტრეტი

ლიოვის სამი სამშობლო

გუნდესმწვრთნელს თავისიანად სამი გერმანულენოვანი ქვეყანა მიიჩნევს

ზუსტად ერთი წლის წინ, გერმანიის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. ლეგენდარული იურგენ კლინსმანის ნაცვლად ეს პოსტი მისმა თანაშემწემ იოახიმ ლიოვმა ჩაიბარა, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი ფართო პუბლიკისთვის. თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, ამ დუეტში ძირითადი დატვირთვა სწორედ ლიოვზე მოდიოდა. ტყუილად არ ამბობენ: მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაო - უფრო მეტად მისი მოპოვებულიაო. აი, მაგალითად, რას წერს ავტორიტეტული ჟურნალი "შპიგელი": "შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ფაქტია: სამწვრთნელო ტანდემში პირველი ვიოლინო არა კლინსმანს, არამედ მის ასისტენტ ლიოვს ეკუთვნოდა. საერთო ჯამში, ეს მისი ინიციატივით მოხდა, რომ ნაკრებში უმუშევარი იენს ლემანი მსოფლიო დონის ვარსკვლავად იქცა". მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ერთი წელი გავიდა და დრო მოვიდა, უფრო ახლოს გავიცნოთ ჩრდილიდან გამოსული რუხი კარდინალი, რომელსაც თურმე ერთმანეთში ეცილება სამი გერმანულენოვანი ქვეყანა.

ლიოვის ავსტრიული ფესვები

როცა **იოახიმ ლიოვი** ავსტრიაში "ტიროლთან" და "აუსტრიასთან" მუშაობდა, მისი პიროვნება ცოტა ვინმეს თუ აინტერესებდა. ახლა კი, მის მიმართ ინტერესი მკვეთრად შეიცვალა. რად ღირს, თუნდაც ტიროლის მხარის მთავრობის გულუხვი ჟესტი - ბუნდესმწვრთნელი და მისი შეგირდები, ოჯახებთან ერთად, ავსტრიელთა ხარჯით ერთი კვირით ალპებში მიიწვიეს, რათა გერმანელები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ, სამთო კლიმატს შეეჩვიონ.

თუმცა ამ მიწვევის გარეშეც, ლიოვი ამ ალპიური რესპუბლიკის ხშირი სტუმარია. აქ ჩასული, ის ტრადიციულად პრეს-კონფერენციას მართავს ხოლმე. გთავაზობთ იმ კითხვების ჩამონათვალს, რომელსაც იქ მას ყველაზე ხშირად უსვამენ.

- გეკითხებათ თუ არა რჩევას ავსტრიელი კოლეგა იოზეფ ჰიკერსბერგერი, თუ როგორ უნდა შეიქმნას უმოკლეს დროში კონკურენტუნარიანი გუნდი?

- არა. მას შემდეგ, რაც იძულებული გავხდი ავსტრია დამეტოვებინა, მისი ნაკრების მწვრთნელთან კონტაქტი არ მქონია.

- ყოფილი ავსტრიელი ნაცნობებიდან, ვისთან არ გაგიწყვეტიათ კონტაქტი?

- ხშირი ურთიერთობა მაქვს "ტიროლის" ყოფილ ფეხბურთელთან და ამჟამად "აუსტრიას" სპორტულ დირექტორთან, ალფრედ ჰიორტნაგლთან, აგრეთვე "ტიროლის" ყოფილ მეკარესთან, სტანისლავ ჩერჩესოვთან. ვიხსენებთ "ტიროლში" გატარებულ შესანიშნავ წლებს. სამწუხაროა, რომ ფინანსური პრობლემების გამო, ეს გუნდი განვითარებას ვეღარ ახერხებს.

- რისი მიღწევა შეუძლია ავსტრიას საშინაო ევროპის ჩემპიონატზე?

- სავარაუდოდ, ავსტრიის ნაკრები არ დააღლატებს თავის გულშემატკივრებს. მთავარია, ქვეყანაში პანიკა არ შეიქმნას. საკუთარი მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ თქვენს ქვეყანაში მსგავსი რამ ხშირად ხდება.

- გერმანიის ნაკრებს შეუძლია ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება?

- გასაგებია, რომ ჩვენ გვინდა ამ ტიტულის მოგება. და თუ წარმატებას მივაღწევთ, ვფიქრობ, ავსტრიელებიც ჩათვლიან საკუთარ თავს ამ ტრიუმფის მონაწილეებად.

■ ■ ■

სინამდვილეში, მეზობელი ქვეყნის ნაკრებს, ავსტრიელები უკვე ახლა აკუთვნებენ თავს. როგორც ადგილობრივი ჟურნალისტები ამაყად აღნიშნავენ, არასოდეს ბუნდესნაკრებში არ ყოფილა ასეთი მძლავრი "ავსტრიული ფრაქცია", როგორც დღეს არის.

ბუნებრივია, ამ ფრაქციას სათავეში ლიოვი უდგას. 2002 წელს, "ტიროლთან" ერთად ის ავსტრიის ჩემპიონი გახდა, რის შემდეგაც უფრო მდიდარ "აუსტრიაში" გადავიდა, საიდანაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მალე გააგდეს, არადა გუნდი გათამაშების ცხრილში პირველ ადგილს იკავებდა.

- კლუბის ხელმძღვანელი, ფრენკ შტრონახი უცნაურ შენაძენებს ახორციელებდა და ამით მე და გუნდი ვზარალდებოდით, - იხსენებს ლიოვი. - ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხებოდი: "რისი მიღწევა უნდა ამ გაუგებარ ადმიანს?". ჩემი მოულოდნელი განთავისუფლება, რა თქმა უნდა, იმედგაცრუება იყო, მაგრამ მესმოდა, რომ ამას საფეხბურთო მიზეზები არ ედო საფუძვლად, რადგან საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარებოდა. საკმარისი იყო შეგესწავლა იმ ადამიანების დიდი სია, რომელიც "აუსტრიადან" შტრონახმა ჩემამდე და ჩემს შემდეგ გაათავისუფლა და ყველაფერს იოლად მიხვდებოდი. ვენურ კლუბში რვაწლიანი საქველმოქმედო მოღვაწეობის მანძილზე, ამ მეცენატმა 14 სპეციალისტი გაათავისუფლა. სხვათა შორის, მას რომ არ გავეშვი, დღეს, ალბათ, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ ვიქნებოდი.

მართლაც, 2004 წლის მარტში ლიოვი "აუსტრიადან" გაუშვეს, ხოლო უკვე ხუთი თვის შემდეგ, ის კლინსმანის ასისტენტი გახდა.

ბუნდესნაკრებში "ავსტრიული ფრაქციის" მეორე წარმომადგენლად მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** უნდა მივიჩნიოთ. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ზალცბურგთან და ამავე სახელწოდების გუნდთან, რომლის შემადგენლობაშიც 1990-91 წლების სეზონში, 23 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რამაც ოლის სერია A-სკენ გაუხსნა გზა. მოგვიანებით, ზალცბურგის ცნობილ ტაძარ "მირაბელში", ბირჰოფმა ჯვარი დაინერა მეუღლე **კლარაზე**. ცოტა ხნის წინ საუბრობდნენ იმაზე, რომ ბირჰოფი შესაძლოა "ზალცბურგში" დაბრუნებულიყო. ამ კლუბის მფლობელმა **დიტრიხ მატშიცმა** გერმანელი მენეჯერის პოსტზე მიიწვია და დიდი ფულიც დაპირდა. მაგრამ ეს არ მოხერხდა იმის გამო, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე, ბირჰოფმა 2010 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი გერმანიის საფეხბურთო კავშირთან.

ლიოვის გუნდში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, ვისაც ავსტრიული ფესვები გააჩნია - ბუნდესმწვრთნელის ასისტენტი **ჰანს ფლიკია**, რომელიც მოტივაციის ჯადოქრად ითვლება. სხვათა შორის, მას იმავე "ზალცბურგში", წელიწადში ნახევარი მილიონი ექნებოდა, სპორტული კოორდინატორის პოსტს რომ დათანხმებულიყო, მაგრამ ლიოვთან მუშაობა არჩია.

- გერმანიაში დარჩენა ჯოვანი ტრაპატონიმ მირჩია, - ამბობს ფლიკი. - და ახლა მზად ვარ 1000 პროცენტით დავიხარჯო, რათა გუნდს ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს საფეხურზე ასვლაში დავეხმარო.

თავად ლიოვმა რატომ გადაწყვიტა თავის შტაბში ფლიკის მიწვევა?

- მან რეგიონალიგის კლუბ "ჰოფენჰაიმში" დაამტკიცა, რომ ახალგაზრდებთან მუშაობა იცის და მუდმივად ახალი გზების ძიებაშია, - ხსნის ბუნდესმწვრთნელი. - მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჰანსი ადამიანური თვისებებითაც მაწყობს. რაც შეეხება ფლიკის როლს ნაკრებში, მისი ძირითადი ამოცანაა შეადგინოს დოსიეები ყველა პერსპექტიული ფეხბურთელის შესახებ, თუნდაც მათი ასაკი 15 წელი იყოს.

ლიოვის შვეიცარიული ფესვები

საინტერესოა, რომ ბუნდესმწვრთნელს თავისიანად, კიდევ ერთ ალპიურ ქვეყანაში - შვეიცარიაში მიიჩნევენ. ამ მხრივ, საგულისხმოა ლიოვის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ, რომელიც შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ გამოცემაში დაიბეჭდა.

- იცით, რომ ჩვენ ამაყად ვამტკიცებთ: ლიოვი პირველი შვეიცარიელი მწვრთნელია, ვინც გერმანიის ნაკრები ჩაიბარა?

- საიდან გააკეთეთ ასეთი უცნაური დასკვნა?

- თქვენ ხომ სამწვრთნელო საქმეს შვეიცარიაში ეზიარეთ. გახსოვთ, 1989 წელს აქაურარ "შაფჰაუზენში" აღმოჩნდით, სადაც კარიერის პირველი ნაბიჯები გადადგით? შემდეგ "ვინტერტურის" ახალგაზრდა ფეხბურთელებზე იყავით პასუხისმგებელი, იმუშავეთ "ფრაუენფელდში" და სწორედ იქედან გაემგზავრეთ გერმანიაში, სადაც როლფ ფრინგერმა "შტუტგარტში" ასისტენტად მიგიწვიათ. მოგვიანებით კი, როცა ფრინგერი შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა, თქვენ მისი ადგილი დაიკავეთ კლუბში. შვეიცარიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თქვენ "შტუტგარტში" მაგიური სამკუთხედი შექმენით - კრასიმირ ბალაკოვი, ფრედი ბობიჩი და ელბერი.

- თუ ასეა, მართალი ხართ. მე მართლაც გავატარე რამდენიმე წელი შვეიცარიაში. თავიდან მოთამაშის რანგში, შემდეგ კი, სწორედ თქვენს ქვეყანაში მივიღე სამწვრთნელო ლიცენზია. შვეიცარიაში მიღებული განათლებამ, მართლაც ბევრი რამ შემძინა. ჩემი მასწავლებელი იყო ურს ზინგერტალერი, ამჟამად გერმანიის საფეხბურთო კავშირის მთავარი შეფ-სკაუტი. ის ისე მკაფიოდ და გასაგებად მიხსნიდა ყველაფერს, ცოდნა თავისთავად იბეჭდებოდა გონებაში. დღესაც მას ბევრ რჩევას ვეკითხები. ეს არც არის გასაკვირი - ზინგერტალერის მოვალეობებში გერმანიის ნაკრების მეთოქეებზე დაკვირვება შედის.

- ეს მან შეგაყვარათ შემტევი სტილი?

- არა, ეს მე სისხლში მაქვს. მიყვარს რისკი და ფეხბურთელებისგან ყოველთვის ვითხოვ იმას, რომ მათ ისეთი ფეხბურთი ითამაშონ, რომელიც გვერდიდან კარგი საყურებელია. ეს სტილი მომწონს და არ მინდა მას ვუღალატო.

- შვეიცარიის ნაკრები მოგწონთ?

- დიახ. დარწმუნებული ვარ, რომ შვეიცარიის ნაკრები ევროპულ ელიტას განეკუთვება. ეს გუნდი ბრწყინვალედ არის ორგანიზებული. გასაკვირი არაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე შვეიცარიელებს ერთი გოლიც არ გაუშვია. თქვენს გუნდს ჯერ ზენიტისთვის არ მიუღწევია.

- ამასობაში, ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც ავსტრიაში, ბევრი წუხს იმის გამო, რომ არ იციან, თუ რას წარმოადგენენ სინამდვილეში, ევრო 2008-ს ორგანიზატორი ქვეყნების ნაკრებები. ისინი ხომ მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს ატარებენ. რას იტყვით ამის შესახებ? ცოტა ხნის წინ, გერმანიაც ხომ ანალოგიურ სიტუაციაში იყო.

- მე მგონია, რომ არ ღირს ამაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. სამაგიეროდ, მასპინძელი ნაკრებები უფრო თავისუფლები არიან და შეუძლიათ ფინალური ტურნირისთვის ყოველგვარი ზეწოლის გარეშე მოემზადონ. პირადად მე, თავის დროზე, სულაც არ ვგრძნობდი დისკომფორტს იმის გამო, რომ გერმანიას ოფიციალური მატჩები არ ჰქონდა.

- ამ პოსტზე რამდენიმე ხანი აპირებთ დარჩენას?

- ჩემი კონტრაქტი 2008 წლის ბოლომდეა გაფორმებული. მომავალი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად გამოვალთ ევროპის ჩემპიონატზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ, რადგან იურგენ კლინსმანის დაწყებულ საქმეს ვაგრძელებ.

- ძნელია იყო პოპულარული?

- ძალიან ძნელი. ვცდილობ გერმანიის ჩემპიონატის მატჩებზე არ ვიარო, თორემ ხალხი კისერზე მეკიდება. საზღვარგარეთ დავდივარ და იქ ვუყურებ ფეხბურთს.

- შვეიცარიაშიც?

- რა თქმა უნდა. ბაზელში ჩემი ძმა ცხოვრობს და მას ხშირად ვსტუმრობ ხოლმე.

ლიოვის გერმანული ფესვები

მაგრამ, რამდენადაც მჭიდროდ არ უნდა იყოს ლიოვი შვეიცარიასთან და ავსტრიასთან დაკავშირებული, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნდესმწვრთნელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვარცვალდის რეგიონის ქალაქ შონაუში, ხაბაზის ოჯახში დაიბადა. უფროს ლიოვს პატარა ფირმა ჰქონდა, რომელიც 13 თანამშრომელს ითვლიდა. მამა შვილებს მორალს არ უკითხავდა, თუმცა მათგან მორჩილებას მაინც მიაღწია. ასე რომ, გერმანული დისციპლინა ლიოვს სისხლში აქვს.

ფეხბურთისადმი სიყვარული კი ძმებისგან მოდის, რომლებიც "ფრაიბურგში" თამაშობდნენ. ახლა ერთ-ერთმა მათგანმა მშობლიურ შონაუში რესტორანი გახსნა. თავად ლიოვს მიაჩნია, რომ მისი ცხოვრება ასე მოწყობილი ვერასოდეს იქნება, რადგან მას არ შეუძლია ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნა. მაგალითად, ვერ წარმოუდგენია, რომ ერთ გუნდში 15 წელი იმუშაოს.

- რატომ არ შედგა თქვენი საფეხბურთო კარიერა?

- თავის დროზე, ჩემით "ბაიერნი" და"შალკე" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მე უპირატესობა "შტუტგარტს" მივანიჭე, რომელმაც ჩემში 500 ათასი ფრანკი გადაიხადა. მაგრამ, როგორც კი გუნდში მივედი, ზაფხულის შეკრებაზე სერიოზული ტრავმა მივიღე, რის შემდეგაც მწყობრში ვეღარ ჩავდექი. რომ არა "ლივერპულის" მეკარე რეი კლემენსი, რომელმაც ფაქტობრივად დამასახიჩრა, ალბათ, ფეხბურთს დიდხანს ვითამაშებდი.

და ლიოვი მწვრთნელი გახდა. თუმცა მას ხშირად არ უღიმოდა ფორტუნა. მაგალითად, "კარლსრუეში" 18 მატჩიდან და მხოლოდ ერთი მოიგო და გუნდი სამარცხვინოდ გავარდა მეორე ბუნდესლიგაში. მაგრამ ლიოვი ირწმუნება, რომ მას შემდეგ ბევრი რამ ისწავლა და კოლოსალური გამოცდილება დააგროვა. ამტკიცებს, რომ, როგორც კი მისი ფეხბურთელები პირველ გადაცემებს გააკეთებენ, იცის თუ როგორ დამთავრდება ის მატჩი.

ბოლოს ის დავამატოთ, რომ ამ მოთხრობის გმირი კონცენტრაციის გაზრდისთვის იოგათია დაკავებული, სითამამისთვის საპარაშუტო სპორტს მისდევს, და კიდევ ფსიქოლოგის ხშირი სტუმარია, რადგან ამის შემდეგ, უიოლდება ფეხბურთელებთან ურთიერთობა.

ლიოვი კლინსმანის დაწყებულ საქმეს აგრძელებს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა
GEORGIA

ჩოგბურთი

ირლანდიელმა არ გაახარა

საქართველოს პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** ასპარეზს ერევანში დაუბრუნდა, სადაც 15-ათასიან ტურნირში მეორე ნომრად იყო განთესილი. ლადო რომ ვერაა სათანადო ფორმაში სომხეთის დედაქალაქის კორტებზე ნაჩვენებმა შედეგმაც დაამტკიცა. ტურნირის ძირითად ბადეში ორი ქართველი იყო: ჩიხლაძე და **გიორგი ხრიკაძე**. ხრიკაძე პირველ წრეში ირლანდიელ **ჯეიმს კლასკის** (1232) შეხვდა და დამარცხდა - 6:3, 1:6, 2:6. ჩიხლაძემ სომეხ **გევორქ კირაკოსიანს** მოუგო - 6:3, 6:4. მერვედფინალში ჩიხლაძემ **ჰარუთიუნ სოფიანს** მოუგო - 6:1, 6:4. მეოთხედფინალში ჩიხლაძე სწორედ კლასკის შეხვდა და მოულოდნელად დამარცხდა - 5:7, 5:7. ნყვილთა თანრიგში ჩიხლაძის და რუსი **მიხაილ ელგინის** დუეტი ფინალში გავიდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩახნაშვილი იგებს, კალაშნიკოვაც

ფრანგული კონტრექსვილის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) წარმატებით თამაშობს საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი**. მაკა ტურნირში მე-7 ნომრადაა განთესილი, მერვედფინალში მან ჩერნოგორიელ **დონიცა კრსტაიჩს** (244) მოუგო - 6:1, 3:6, 6:3. მეოთხედფინალში მაკას მეტოქე მასპინძელი **სტეფანი ფორეცია** (140), რომელიც კონტრექსვილიში მეოთხე ნომრადაა განთესილი.

გერმანულ გარხინგში (10 ათასი დოლარი) **ოქსანა კალაშნიკოვამ** ერთეულთა თანრიგში პირველ წრეში წააგო, თუმცა წყვილებში ის ფინელ **კატარინა ტუომიმაასთან** ერთად ფინალში გავიდა.

ჰოკეი

უპატარძლო ქორწილი

კენ შილდსის აღიარება

ჩვენი გაზეთის 18 ივლისის ნომერში დავწერეთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ **კენ შილდსს** 19 ივლისს. კანადის კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ჯეიმს ნეისმიტის სახელობის ჯილდო უნდა მიეღო.

"ეს მეტად საპატიო პრიზია და მხოლოდ ორ კანადელს აქვს მიღებული - სტივ ნეშს (2005-06 წლების NBA-ს MVP-ს) და "ტორონტოს" მფლობელ ჯონ ბოტივეს. რადგან ახლა საქართველოს ნაკრებთან ვარ, ეს დაჯილდოება ჩემს გარეშე ჩაივლის". - გვითხრა 18 ივლისს სერ კენმა.

გუშინ გაზეთ "კანადიან პრესში" გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმად ვანკუვერში ორი პიროვნების დაჯილდოვბამ საზეიმოდ ჩაიარა. პირველი იყო ბილი რობინსონი, რომელიც კანადური სპორტის დიდების დარბაზში შეიყვანეს, მეორე - **კენ შილდსი**...

"ჯეიმს ნეისმიტის სახელობის საპატიო პრიზის მისაღებად დარბაზში ვერ გამოცხადდა თავად შილდსი, რომელიც საქართველოს ნაკრებს წვრთნის და ამჟამად ევროპაშია. სამაგიეროდ ჯილდო მისმა მეუღლემ კეიტი შილდსმა ჩაიბარა. მანვე განაცხადა, რომ კენს ძალიან სურდა ვანკუვერში ყოფნა, მაგრამ საქმის მიტოვებაც არ შეეძლოო. მისის კეიტმა საპატიო ადგილას კენის პირველი მწვრთნელი **დონ ჰარტვინგი** შენიშნა და დასძინა: *"პრინც რუპერტის საკალათბურთო გუნდში, ჩემი მეუღლე იოლად არ მოხვედრილა. იგი მისტერ დონმა მეთორმეტე კაცად აიყვანა. სწორედ ეს გახდა კენის წარმატებული კარიერის საწინდარი. იგი დონ ჰარტვინგის გუნდში რომ არ მოხვედრილიყო, დღეს კალათბურთში არ იმუშავებდა..."* - ვკითხულობთ "კანადიან პრესში".

სხვა რა დაგვრჩენია, მივულოცოთ ჩვენი ნაკრების მწვრთნელს და ქართველებთან ერთად წარმატებები ვუსურვოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო — ნაგოიას ბაშო

უარყოფითი, შემდეგი გავარდნაა?



ქართველი სუმოისტი **ლევან ცაგურია** ელიტაში 2004 წლის იანვარში გამოჩნდა, როდესაც 22 წლისამ ძურიოს დივიზიონი 14-1 ბალანსით მოიგო. მაშინ **კოკაიმ** მაკუუჩის დივიზიონში მეათე მაეგაშირას რანგით შეაბიჯა, და მას შემდეგ ყოველთვის ამაზე უკეთესი ადგილი ეკავა (შარშან სექტემბრის და ნოემბრის ბაშოზე კომუსუბიც იყო), მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია დაირღვა - გუშინ ნაგოიას ბაშოზე კოკაიმ მერვე მარცხი განიცადა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართველი ტურნირს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს, ეს კი ავტომატურად რეიტინგში დაქვეითებას ნიშნავს. დღეისათვის კოკაი დასავლეთის მეცხრე მაეგაშირაა, ის მაკუუჩის დივიზიონიდან არ გავარდება, მაგრამ ათეულს მიღმა ყველა შემთხვევაში დარჩება. აი, შემდეგ ბაშოსაც თუ უარყოფითი ბალანსით დაასრულებს, ქართველებს სუმოს ელიტურ დივიზიონში კაცი აღარ გვეყოლება.

მეცამეტე დღეს კოკაიმ ტანმორჩილ **ტოიონოშიმასთან** წააგო. 5-4 ბალანსის შემდეგ ჩვენებურმა ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა დათმო, აქედან ბოლო სამი ცუკიოტოშით. დღეს კოკაის მეტოქე მე-15 მაეგაშირა **კაიჰოა**, რომელსაც ბრნყინვალე ბაშო აქვს - 9-4. ბაშოზე ორი რიკიში ლიდერობს 12-12 მოგებით **ასაშორიუ** და **კოტომიცუკი**. გუშინ ტურნირს ტრავმის გამო ოძეკი **კაიო** შეეშვა, თუმცა ვეტერანს თავი ქუდში აქვს, 8 გამარჯვების მოპოვება მან უკვე მოასწრო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაგოიას ბაშო
(ივლისის სუპერტურნირი)
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

XIII დღე: **კოკაი-ტოიონოშიმა 0:1 (ცუკიოტოში), ასაშორიუ-ჩიოტაიკაი 1:0, კოტოოშუ-ჰაკუჰო 1:0, ტოკიტენკუ-კაიო 1:0, კოტომიცუკი-ჰომაშო 1:0, ამა-მიაბიამა 1:0, ამინინიკი-ტაკამისაკარი 1:0, კოტოშოგიკუ-დეჯიმა 1:0, ასასეკირიუ-ტაკეკაძე 1:0, ვაკანოსატო-ტამანოშიმა 1:0, კისენოსატო-ჰაკუროძანი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: 12-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე); 11-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა); 10-3: ჰოკუტორიკი (მაეგაშირა 10); 9-4: კისენოსატო (მ 6), ჰომაშო (მ 6), ტოჩინონადა (მ 9), ტოიოჰიბიკი (მ 14), კაიჰო (მ 15); .. 5-8: კოკაი (მ 9).

XIV დღე: **კოკაი-კაიჰო, ასაშორიუ-ჰომაშო, ჰაკუჰო-ჩიოტაიკაი, კოტოოშუ-ამინიშიკი, ამა-ტაკამისაკარი, კოტომიცუკი-ტოჩინონადა, ტოკიტენკუ-მიაბიამა, კისენოსატო-ასასეკირიუ, კოტოშოგიკუ-ვაკანოსატო, ტეჯიმა-ტოიონოშიმა, ტამაკასუგაკაკურიუ, ოცუკასა-ჰოკუტორიკი.**

ცქიტიშვილს კონტრაქტს სთავაზობენ

წარმატებული სეზონის შემდეგ **ნიკა ცქიტიშვილს** "კახა სან ფერნანდო" კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებას სთავაზობს. ამის შესახებ ესპანური გაზეთი "დიარიო დე სევილია" იუწყება. კლუბის ხელმძღვანელობამ ცქიტოს ხელახალი ხელშეკრულების გაფორმების წინადადებით გასულ კვირას მიმართა, მაგრამ ესპანური პრესისავე ცნობით, ამერიკაში მყოფ ქართველს პასუხი არ მოუწერია.

ამ შემთხვევაში დუმილი თანხმობის ნიშანი ნამდვილად არ არის, რადგან ცქიტიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სევილიის "კახა" სათადარიგო ვარიანტია, ისეთ კლუბში სურს გადასვლა, სადაც კვირაში ორ მატჩს მაინც ჩაატარებს. ანუ ახალი გუნდი რომელიმე ევროტურნირზე უნდა ასპარეზობდეს. სასურველია ევროლიგაო, დასძენს ნიკა. "კახა სან ფერნანდომ" კი გასულ სეზონში ფლეი ოფში ვერ გააღწია და გაისად მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატში მოუწევს ასპარეზობა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ნიკა ამჟამად ამერიკაშია და საზაფხულო კემპების მოთავების შემდეგ სატრანსფერო საკითხებზე მუშაობს.

სენდერსი საბერძნეთში



მელვინ სენდერსი

კალათბურთის ფედერაციამ ფრანგულ "პო ორტეზში" მოთამაშე **მელვინ სენდერსს** თებერვალში ქართული პასპორტი მისცა. თუმცა ფედერაციაში ისიც გვითხრეს, რომ ვიდრე გუნდში **ტაირონ ელისი** თამაშობს, მელვინი სათადარიგო ვარიანტი იქნება, რადგან ტაირონმა ჩვენს დახმარებაზე წელს თანხმობა გამოაცხადა, სენდერსი მინიმუმ 2008 წლამდე ვერ მოირგებს ჩვენი ნაკრების მაისურას.

ასეა თუ ისე, ვიდრე მელვინი ეროვნულის პოტენციური კანდიდატია, მის შესახებ სიახლეების შეტყობა უინტერესო არ უნდა იყოს. სიახლე კი ისაა, რომ გორდონ ჰერბერტის "პოდან" წასვლის შემდეგ, გაქართველებულმა ამერიკელმაც გადაწყვიტა საფრანგეთის დატოვება და ჰერბერტის მსგავსად საბერძნეთს მიაშურა. ბერძნული წყაროების ცნობით, სენდერსი მომდევნო ორ წელს "პანელინიოში" გაატარებს. იგი ელადაზე უკვე ჩავიდა და ახალ კლუბთან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

ფინეთი იწყებს და აგებს

საქართველოს ნაკრების მეტოქე ფინელებმა მზადება ერთი კვირის წინათ დაიწყეს და ერთი საკონტროლო მატჩის ჩატარებაც მოასწრეს.

შეხვედრა ესტონეთში ჩატარდა და კალათბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით, მასპინძელთა სასარგებლოდ 57:36 დასრულდა. საინტერესოა, რომ მეორე ტაიმში ფინელებს შეტევაში ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. 20 წუთში 12 ქულა ჩააგდეს.

ლიდერების **ტეემუ რანიკოს** ("ოლიმპია"), **ჰანო მოტოლას** ("ყალგირისი") და **პეტრი კოპონენის** (დრაფტზე "პორტლენდმა" აირჩია) გარეშე დარჩენილ გუნდში თავი ვერავინ გამოიჩინა. სუომელთა სნაიპერებს **ვირტანენსა** და **ჰაფს** მხოლოდ 7-7 ქულა მოუგროვდათ.

ესტონეთი–ფინეთი 57:36

10:12, 18:12, 19:5, 10:7

ფინეთი: ულანდერი (5 ქ. 6 მ), ლეპტორანტა (3 ქ), კოტი (1 ქ, 6 მ), სტენი (4 ქ), ვირტანენი (7 ქ. 6 მ), ავენიემი (2 ქ. 6 მ), მაკალაინენი (2 ქ), ლისალო, კინასლამპი (5 ქ).

ვაჟა სიმონიშვილი

ფეხბურთი

მსოფლიო ტური

მეოთხედფინალის შანსი

მარსელში მიმდინარე მსოფლიო ტურის ეტაპზე, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ბოლოა, პლაუბურთის ქართული წყვილი **გეორ-გია** ბრძოლას აგრძელებს. ტურნირის მესამე დღეს, პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა ნორვეგიელებს **ჰოიდალენსა** და **გორანსონს** სძლიეს 2:0 (21:19, 21:19). მერე ჰოლანდიელებთან **ბორესმასა** და **რონესთან** არანაკლებ რთული ბრძოლა გაღახდათ, მაგრამ გამარჯვებას სამ სეტში მიაღწიეს - 21:14, 20:22, 15:11.

გეორ-გია მორიგ შეხვედრას ჩინურ წყვიათან (ლი-ჭუ) გამართავს. ჩვენს ფრენბურთელებს შესაძლებლობა აქვთ, მეოთხედფინალში გაალწიონ.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტენდო სროლა

ევროპის ჩემპიონატი

ლაკია მეჩვიდმეტეა

ტყვიით მსროლელთა შემდეგ, ეხპანურმა გრანადამ მესტენდურთა ევროპირველობასაც უმასპინძლა, რომელშიც ჩვენი ვაჟთა ნაკრები სრული შემადგენლობით ასპარეზობდა. ქართული ტრიოდან ყველაზე უკეთ **პავლე ლაკია** გაისარჯა - 119 ქულით საპატიო 17-ე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ამდენივე ქულა კიდევ ხუთმა მონაწილემ დააგროვა, მაგრამ ლაკიამ ბოლო სერიაში მათზე მეტი დააგროვა და ამით აჯობა კონკურენტებს.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ლაკია ჩვენს გუნდში შედარებით ახალი კაცია. იგი აფხაზეთიდანაა და ომის შემდეგ რუსეთში ცხოვრობდა, სადაც ვარჯიშობდა კიდეც და პერიოდულად ტურნირებშიც გამოდიოდა. მათ შორის, საქართველოს სახელითაც. მისი ასეთი გამოსვლა გვაფიქრებინებს, რომ ოლიმპიური ლიცენზიისთვის ბრძოლა რეალურად შეუძლია.

რაც შეეხება ჩვენს კიდევ ორ მონაწილეს, ცხრილში ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგდნენ - 105-ქულიანი **დავით ქვათაძე** 72-ეა, 104-იანი **გივი შენგელია** - 73-ე.

ჩვენი სამეულის საერთო გუნდური მონაგარი 328 ქულაა, რამაც 18-ე ადგილზე გაგვიყვანა.

გრანადაში **მაია გუბიევაც** გაემგზავრა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოსვლის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერი შევიტყვეთ. ოპერატიულობით გამორჩეული სროლის საერთაშორისო ფედერაციის საიტი ამ ჩემპიონატზე რატომღაც დიდი ხარვეზებით მუშაობდა.

ირაკლი თავაძე

ბელგრადი 2007

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

დიდი გამოცდის წინ

გუშინ, სერბეთში გამგზავრების წინ, საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვდა სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. განიხილეს მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები.

1990 წელს, იმხანად ევროპის ოლიმპიური კომიტეტის (ეოკ-ი) ხელმძღვანელის, დღეს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტის, ბელგიელი დოქტორის **ჟაკ როგის** ინიციატივით, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა გაჩნდა. უკვე 1991 წელს თამაშებს სოკ-ის პატრონაჟით პირველად სწორედ ჟაკ როგის სამშობლოს დედაქალაქმა - ბრიუსელმა უმასპინძლა. გადაწყდა, რომ თამაშები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა.

ბელგიაში საქართველოს სპორტული დელეგაციის გამგზავრება ვერ მოხერხდა და ჩვენმა ათლეტებმა ეს თამაშები 1993 წელს ჰოლანდიის ქალაქ ვალკენსვაარდში დაჭაშნიკეს. მას მერე კი მისი უცვლელი მონაწილენი ვართ.

ალბათ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები, რომელიც 2003 წლიდან ფესტივალის სახელს ატარებს, სერიოზული რანგის სპორტული ღონისძიებაა და ევროპის სპორტულ რუკაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს.

საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობა აქვთ მიღებული შემდგომში ცნობილ სპორტსმენებს: **კახა კალაძეს, ზურაბ ხიზანიშვილს, ლაშა ჯაკობიას, რატი წინამძღვრიშვილის, ჯარჯი ზვიადაურს, ლაშა გუჯეჯიანს, ივერი ჯიქურაულს, გრიგოლ შინჯიკაშვილს** და ა.შ. აქვე დავძენთ, რომ სოკ-ის გადაწყვეტილებით, 2010 წელს ჩატარდება ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. სავსებით შესაძლებელია, აქ მონაწილე ქართველი ათლეტები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის კანდიდატთა შორისაც ვიხილოთ.

დავუბრუნდეთ კარსმომდგარ ბელგრადის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. დღეს, სტამბულის გავლით, საქართველოს დელეგაცია ბელგრადისკენ აიღებს გეზს და სერბულ ლაშქრობაში ჩაებმება. მანამდე კი, 14 საათზე, სეოკ-ის პრეზიდენტის ბატონი **ბადრი პატარკაციშვილის** რეზიდენციაში ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. ქართველი ათლეტების სახელით ფიცს მძლეოსანი **გიორგი ბედოშვილი** დადებს, რომელიც ახლახან ტრაბზონში გამართულ შავი ზღვის აუზის I თამაშებზე ბრონზის კვრაში ჩემპიონი გახდა.

სპორტის 11 სახეობიდან ქართველი ახალგაზრდები ბელგრადში შვიდში – ძიუდოში, მძლეოსნობაში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ველოსპორტში ცდიან ბედს. სერბეთში ევროპის 48 ქვეყნის 3 ათასამდე ათლეტი მოიყრის თავს და მათ შორის 27 ჯვაროსანი იქნება.

წინამორბედთა მსგავსად, სერბეთშიც ჩვენი მთავარი იმედი ძიუდოა. ქართველი კომონოსნები უმეტესწილ არასოდეს დარჩენილან და, დარწმუნებულნი ვართ, არც ამჯერად შეირცხვენენ თავს. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის გუნდია, რომელმაც ივლისის დასაწყისში, მალტაზე კონტინენტის პირველობაზე იასპარეზა და ხუთი სპორტსმენი შინ მედლით დაბრუნდა. ესენი არიან: ჩემპიონი - **ზებედა რეხვიაშვილი**, ვერცხლის პრიზიორი **ზვიად კაპანაძე**, ბრინჯაოს მედალოსნები **გიორგი მერმანიშვილი, ოთარ კაიდარაშვილი** და **ვაჟა დაბრუნდაშვილი**. ფესტივალის ისტორიაში ქართველთაგან მოპოვებული 35 მედლიდან 31 ძიუდოისტების ანგარიშზეა და რაღა ახლა უნდა გაგვიწყრეს ღმერთი?

სერიოზულ იმედებს ვამყარებთ მძლეოსნობაზეც, სადაც 7 სპორტსმენი გვეყოლება.

უიმედოდ არც ჩოგბურთში უნდა დავრჩეთ. რაც შეეხება სპორტულ ტანვარჯიშს, ცურვას, ველოსპორტსა და მაგიდის ჩოგბურთს, ამ ეტაპზე ხსენებულ სახეობებში წარმატების იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს, თუმცა სპორტი ხომ სიურპრიზებით აღსავსე სფეროა. გამოცდილების დაგროვებაც დიდი საქმეა...

აქვე დავძენთ, რომ საქართველოს სპორტულ დელეგაციაში იმყოფება ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებული, სეოკ-ის პირველი პრეზიდენტი და ამჟამად საპატიო პრეზიდენტი, XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი, ლეგენდარულ **ნონა გაფრინდაშვილი**, რაც ჩვენი ათლეტებისთვის დამატებითი სტიმული იქნება.

კახა ბერიძე

საქართველოს სპორტული დელეგაციის შემადგენლობა

ძიუდო

ქალები

1. ოთარ კაიდარაშვილი
2. გიორგი რატიანი
3. ზვიად კაპანაძე
4. ზებედა რეხვიაშვილი
5. გიორგი მერმანიშვილი
6. არჩილ შინჯიკაშვილი
7. ნიკა ხაჩიძე
8. ვაჟა დაბრუნდაშვილი
9. ბურამ მოლდბაძე (მწვრთნელი)
10. მერაბ ლოსეურაშვილი (მსაჯი)

გოგონები

1. გულნაზი თინიკაშვილი
2. ნათია როსტომაშვილი
3. მარიამ ტარუაშვილი
4. დიანა ნანიევი
5. ვალერი ჰარუნაშვილი (მწვრთნელი)

მძლეოსნობა

1. გიორგი გელოშვილი
2. სალომე რიგვიშვილი
3. ლიკა დვალიშვილი
4. გიანეი უსტიანი
5. გიგლა ზილგერაშტეინი
6. ლუდვიგ ზილგერაშტეინი
7. ენდრიკ ზილგერაშტეინი
8. ზიგმუნდ ზილგერაშტეინი (მწვრთნელი)
9. გიორგი გელოშვილი (მწვრთნელი)

ველოსპორტი

1. დავით ასკურავა
2. ამირან სვანიძე
3. ალგერტ თავაძე (მწვრთნელი)

ჩოგბურთი

1. ეკატერინე გორგოძე
2. გიორგი ხმიადაშვილი
3. გელა ელერდაშვილი (მწვრთნელი)

მაგიდის ჩოგბურთი

1. ნონა მარქარიანი
2. ვირაბ კაზარიანი
3. ავთანდილ მენაბდე (მწვრთნელი)

სპორტული ტანვარჯიში

1. მარიამ თუთბერიძე
2. ნიკოლოზ მიქელაძე (მწვრთნელი)

ცურვა

1. გიორგი მთვარალაშვილი
2. გიორგი აბზიანიძე (მწვრთნელი)

ოლიმპიურ სოფელში მისვლის ხელმძღვანელი

გიორგი ესაკია

ვრცელი ჭრილი

გოგოლაძე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის

დღეს კარდიფში **კობა გოგოლაძე** WBO ვერსიით (პრესტიჟით მეოთხე ორგანიზაცია პროფესიულ კრივში) მსოფლიო ჩემპიონის საშუალედო ტიტულისთვის იბრძოლებს, მისი მეტოქე **ალექს არტურია**. ბუკმეკერთა ფავორიტი შოტლანდიელია, რომელსაც პროფესიულ კარიერაში 24 მატჩი მოუგია (აქედან 18 ნოკაუტით) და მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა. 34 წლის გოგოლაძეც მხოლოდ ერთხელ დამარცხდა 20-ჯერ მოიგო.

საშუალედო ტიტულის არსი ასეთია: ამ წონაში (ზე ბუმბული, 59 კგ.) ჩემპიონად დომინიკელი **ჯონ გუსმანი** მიიჩნევა, რომელსაც ზედა წონაში უნდა გამოსვლა. დღევანდელი ბრძოლის შემდეგ გუსმანს 90 დღე მიეცემა იმისთვის, რომ გამარჯვებულს შეხვდეს და მსოფლიო ჩემპიონის სარტყელი დაიცვას, თუ ის ამას არ მოისურვებს გოგოლაძის და არტურის ბრძოლის გამარჯვებული მსოფლიოს სრულფასოვანი ჩემპიონი გახდება.

არტურმა აწონვის მერე პრესკონფერენციაზე შემდეგი განაცხადა: *"მე დავინახე გოგოლაძე აწონვაზე რომ ჩადიოდა კიბეებზე, თითქოს თვალს ვერ მისწორდებდა. ოთხი თვეა ამ შეხვედრისთვის ვემზადები და ერთი სული მაქვს, როდის გავალ რინგზე. ძალიან კარგი მოკრივეა გოგოლაძე, მაგრამ მისი ალმა ზბეკთან ბრძოლაც ვნახე და მისი მუხლზე დაჩოქებაც კიდევ ერთხელ შესაძლებელია. გოგოლაძე ტიპიური აღმოსავლეთევროპელია, მოულოდნელი მებრძოლი, თანაც - ცაციაა".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

კობა გოგოლაძე

სპორტის აკადემია

რექტორი მოუწოდებს

ახლა, როცა საკითხი გადაწყვეტილია და დათმობის ყველა იმედი გადაიწურა სპორტის აკადემიის სტუდენტობა, პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი და აკადემიის ხელუხლებლად შენარჩუნების მხარდამჭერები უკან არ იხევენ, კვლავ იკრიბებიან და თავიანთ მოთხოვნას პრინციპულად იცავენ.

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეკრებილი სტუდენტები თავიანთ პოზიციას ლექსების კითხვითაც გამოხატავდნენ.

„ახლა საჭიროა, შესრულდეს მთავრობის დადგენილება. თავი დავანებოთ ყოველგვარ დეზინფორმაციას. კოლექტივი უნდა ჩადგეს ნორმალურ სისტემაში, რათა მიზანმიმართულად განხორციელდეს ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტთან სპორტის აკადემიის ინტეგრაცია" - განაცხადა გუშინ აკადემიის რექტორმა, პროფესორმა **ჯემალ გუგუშვილმა**.

ხელბურთი

ჩელენჯი თევზაძეს ჩააბარეს

საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ გუშინ პრეზიდიუმის სხდომა ჩაატარა. ისაუბრეს ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ გეგმასა და შემოდგომით გასამართ სანაკრებო ტურნირ "ჩელენჯ ტროფზე". როგორც იცით, ევროპის ხელბურთის ფედერაციამ, ახლახან გადაწყვიტა "ჩელენჯ ტროფის" ორი ჯგუფიდან, ერთის თბილისში ჩატარება. ტურნირს 25-27 ოქტომბერს ვუმასპინძლებთ. საქართველოს ხელბურთის ასოციაცია, დიდი ენთუზიაზმით შედგა ამ ტურნირის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

გუშინდელ სხდომაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას "ჩელენჯ ტროფის" საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **თამაზ თევზაძე**. კომიტეტი პირველ სამუშაო სხდომას სამშაბათს ჩაატარებს.

პრეზიდიუმის სხდომაზე, ისაუბრეს მსაჯთა სემინარის შესახებაც, რომელიც ევროპის ხელბურთის ფედერაციის დახმარებით, ტურნირამდე გაიმართება თბილისში - 23-24 ოქტომბერს. ქართველ არბიტრებთან ერთად, მასში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანელები და სომხები. იქვე, დაგეგმილია ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელობის ვიზიტიც.

კობა ხატისაშვილი

თამაზ თევზაძე

ლოს ანჯელეს ლეიკერსი

ყველაფერი კობისთვის



დერეკ ფიშერი

"ლეიკერსი" ყველანაირად ცდილობს **კობი ბრაიანტის** შენარჩუნებას. კალიფორნიელთა სუპერვარსკვლავმა რამდენჯერმე გუნდიდან წასვლის სურვილი რომ გამოთქვა, გუნდის ბოსებმა ეგრეევე შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ **კევინ გარნეტთან, შონ მერიონთან** და **პაუ გასოლთან** გრძელვადიანი თანამშრომლობის გაფორმება ვერ მოხერხდა, "ლეიკერსი" მაინც ცდილობს, სასურველი მოთამაშეების შეძენით ბრაიანტის შენარჩუნებას და ამ ორი დღის განმავლობაში ორი მოთამაშე დაიმატა.

უფრო სწორად, ერთი დაიმატა და მეორე შეინარჩუნა. კალიფორნიელებმა ცენტრ **კრის მიმს** სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, პროგრესირებადი ცენტრი შეინარჩუნეს, თუმცა კონტრაქტის ფინანსური მხარე მასმედიისთვის არ გაუმხელიათ.

მიმმა შარშანდელი რეგულარული ტრავმების გამო გამოტოვა. მას ჯერ მარჯვენა მუხლზე, შემდეგ კი მაჯაზე ოპერაცია გაუკეთეს და სარეაბილიტაციო პროცესი მოსალოდნელზე დიდხანს გაიწელა.

კრისი, რომელიც შეუზღუდავი უფლებების თავისუფალ აგენტად იქცა, ორი დღის წინათ 28 წლის შესრულდა, 2005-2006 წლების რეგულარულში კი ერთ მატჩში საშუალოდ 10.2 ქულას, 6.3 მოხსნასა და 1.24 დაფარებას აგროვებდა.

ბოლო სეზონში მიმმა ხელფასის სახით 4.2 მილიონი დოლარი მიიღო.

მიმი "ლეიკერსში" 2004 წლის 13 აგვისტოს გადავიდა. "ბოსტონ სელტიქსის" შემდეგ ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა იმავე "სელტიქსში" **გარი პეიტონი, რიკ ფოქსი** და 2006 წლის დრაფტის არჩევის უფლება გადაისროლა, თავად კი **ჩაკი ეტკინსი, ჯუმეინ ჯონსი** და მიმი მიიღო.

"ამოვისუნთქე, "ლეიკერსი" ჩემთვის საოცნებო გუნდია და ყოველთვის ვიამაყებ, რომ ფილ ჯექსონის თავკაცობით თამაში მელირსა", - განუცხადა მასმედიელებს მიმმა, რომელსაც პროფესიულ ლიგაში 395 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ დროში მისი სტატისტიკა 8 ქულა და 5.5 მოხსნაა.

■ ■ ■

დერეკ ფიშერი ბრუნდება იქ, სადაც სამჯერ ჩემპიონი გახდა. "ლეიკერსმა" გამოცდილ უკანახაზელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ფიშერი 14 მილიონ დოლარს მიიღებს.

"ლეიკერსში" დაბრუნება ჩემთვის დიდი მოტივაციაა. გუნდში დღესაც არიან კობი ბრაიანტი და ფილ ჯექსონი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალური იქნება", - განუცხადა ჟურნალისტებს ფიშერმა.

33 წლის დერეკი 9 აგვისტოს "იუტა ჯაზს" გამოეთხოვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი ქალიშვილის ჯანმრთელობის გაუარესება იყო. ფიშერმა იქ თამაში ისურვა, საიდანაც შვილის მონახულების საუკეთესო საშუალება ექნებოდა. საბოლოოდ, გამოცდილმა მოთამაშემ არჩევანი "ლეიკერსზე" შეაჩერა.

ფიშერი, რომელსაც "ლეიკერსში" 8 სეზონი აქვს ნათამაშები, ამ გუნდიდან "გოლდენ სტეიტში" 2003 წლის სეზონის დასაწყისში გადავიდა, რის მერეც ერთი რეგულარული ჯერი სლოუნის ხელმძღვანელობით "იუტა ჯაზში" დაჰყო.

მისი შარშანდელი სტატისტიკური მონაგარი 10.1 ქულა, 3.3 შედეგანი გადაცემა და 1.8 მოხსნა იყო. ფიშერი კარიერაში საშუალოდ 8.7 ქულას, 3.3 შედეგიან გადაცემასა და 2.2 მოხსნას აგროვებს.

დერეკს "ლეიკერსის" ისტორიაში ერთ-ერთი დასამახსოვრებელი გადამწყვეტი ტყორცნა ეკუთვნის. 2005 წლის ფლეი ოფში მისი გუნდისა და "სან ანტონიოს" სერიაში ფიშერმა მეხუთე შეხვედრის ძირითადის დასრულებამდე 0.4 წამით ადრე მანუ ჯინობილის ხელებს ზემოდან ზუსტი ტყორცნით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა და "ლეიკერსი" სერიაში 3:2 დაწინაურდა, რის შემდეგაც მეექვსე მატჩი და მასთან ერთად მთელი სერიაც თავის სასარგებლოდ დაასრულა. ფიშერი და კობი ბრაიანტი "ლეიკერსში" 1996-ში ერთად ჩაირიცხნენ. დერეკი დრაფტის პირველ წრეში 24-ე ნომრად აირჩიეს.

ზურაბ თალაკვაძე

ჰიუსტონ როკეტსი

ფრენსისის დაბრუნება

სტივ ფრენსისი

სტივ ფრენსისი "ჰიუსტონ როკეტსში" დაბრუნდა. ბოლო დეკადის ერთ-ერთმა საუკეთესო უკანახაზელმა თავის ყოფილ გუნდთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური მხარეც არ გამხელილა.

ფრენსისი "ჰიუსტონიდან" "ორლანდოში" 2004-ში გადავიდა, გაცვლაში კი მონაწილეობა თვით **ტრეისი მაკგრეიდიმ** მიიღო, რომელიც დღემდე ტეხასელთა ლიდერია. ფრენსისს "ჰიუსტონის" შემადგენლობაში ხუთი სეზონი აქვს გატარებული.

2006 წლის დასაწყისში სტივი "ნიუ იორკში" გადადის, იქიდან კი ბოლო სეზონის დამთავრებისთანავე ყველა ვარსკვლავის სამგზის მონაწილე უკვე "პორტლენდში" ირიცხება. აი, ორეგონელებმა კი აღარ მოისურვეს ძვირადღირებული ვარსკვლავის შენარჩუნება და მისი 30-მილიონიანი კონტრაქტი გამოისყიდეს.

"ჰიუსტონი" ყოველთვის სტივის უსაყვარლესი გუნდი იყო და ვერ წარმოიდგენთ რამდენად ბედნიერია ჩემი კლიენტი თავის ძველ გუნდში დაბრუნებით", - განუცხადა ჟურნალისტებს ფრენსისის აგენტმა **ჯეფ ფრიდმა.**

სტივის აყვანის სურვილი პარალელურად "მაიამიმ", "დალასმა" და "კლიპერსმაც" გამოთქვეს, თუმცა ფრენსისმა საბოლოოდ მაინც თავის ძველ გუნდში დაბრუნება მოისურვა.

შარშანდელ რეგულარულში მან "ნიქსის" შემადგენლობაში 44 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ კარიერაში ყველაზე ცოტას, 11.3 ქულას აგროვებდა. ფრენსისმა თავის 8-ნლიან პროფესიულ კარიერაში 18.4 ქულა და 6.1 შედეგიანი გადაცემა გამოჭედა.

ზურაბ თალაკვაძე

ტურნირები

ATP

მერსედესის თასი

შტუტგარტი (გერმანია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 642 750 ევრო

1/8 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:3, 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 3) 6:0, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 6)**-დიეგო პარტფილდი (არგ) 6:4, 1:6, 6:3; **ხუან მონაკო (არგ, 8)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 3:6, 6:3.

1/4 ფინალში ხვედებიან

ნადალი (1)-მონაკო (8); ფერერო (6)-ლოპესი; ჩელა (7)-ვერდასკო; ვავრინკა-ვანეკი.

Countrywide Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 525 000 დოლარი

1/8 ფინალი

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:0, 1:6, 7:5; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 5) 6:7 (5), 7:5, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-მარდი ფიში (აშშ, 6) 6:2, 6:2; **ზაკ ფლიშმანი (აშშ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 (4), 6:3.

1/4 ფინალში ხვედებიან

ფლიშმანი-შტეპანეკი; კიფერი-ბერერი; საფინი (3)-ლი (7); ბლეიკი (2)-სპეიდი.

პოლანდიის ღია

ამერსფორტი (ჰოლანდია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

1/8 ფინალი

კარლოს მოია (ესპ, 3)-მარიანო საბალეტა (არგ) 6:2, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 4) 3:6, 6:1, 6:4; **სტივ დარცისი (ბელ)**-ჟილ სიმონი (საფ) 7:6 (4), 6:1; **ვერნერ ეშაუერი (ავსტრია)**-რაიმონ სლეიტერი (ჰოლ) 6:2, 6:4.

1/4 ფინალში ხვედებიან

სერა-ჰაასს; მოია (3)-ეშაუერი; დარცისი-ანდრეევი; იუენი (2)-კოროლიოვი.

WTA

Western & Southern Financial Group

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

1/8 ფინალი

პატი შნიდერი (შვეიც, 2)-ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლ) 6:2, 6:3; **ელენა ვესნინა (რუს, 6)**-მენგ იუანი (ჩინ) 6:1, 6:4; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ, 9) 6:7 (5), 6:3, 6:1; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 2:6, 7:5, 7:6(4).

1/4 ფინალში ხვედებიან

ჩაკვეტაძე (1)-ვესნინა (6); მირზა (3)-გოვორცოვა; ოსტერლო-ამანმურადოვა; შნიდერი (2)-მორიგანი (7)

Internazionali Femminili

პალერმო (იტალია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

1/8 ფინალი

აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **ემილი ლუა (საფ, 4)**-კირა ნადი (უნგ) 6:1, 6:1; **აგნეს შავაი (უნგ, 8)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 4:6, 6:2; **კარინ კნაპი (იტა)**-სანდრა კლოზელი (გერ) 6:1, 7:6 (2); **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 7:6 (5), 6:0.

1/4 ფინალში ხვედებიან

ერანი-დომინგეს ლინო; რადვანსკა (3)-შავაი (8); ლუა (4)-კნაპი; მიულერი (2)-პენეტა.

21 ივლისი. შაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:05 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-სეული (კორეა).
14:50 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეეურნალი.
15:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:35 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/4 ფინალი. პორტუ-ლიონი. I მატჩი.
17:25 გერმანიის ლიგის თასი. შალკე-კარლსრუე (LIVE).
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 გერმანიის ლიგის თასი. ვერდერი-ბაიერნი (LIVE).
22:00 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-მილანი.
23:50 გერმანიის ლიგის თასი. შალკე-კარლსრუე.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 პლაჟის ფეხბურთი.
08:03 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
09:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ამერსფორტი.
11:33 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
11:46 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ამერსფორტი.
13:19 სპორტის ისტორია.
13:30 სპორტის სამყარო.
14:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ასკოლი.
16:14 სპორტკლუბი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მერსედესის თასი. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:45 სპორტის ისტორია.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. ვერდერი-ბაიერნი (LIVE).
21:56 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. შალკე-კარლსრუე.
23:41 პლაჟის ფეხბურთი.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-ატ. მინეირო (LIVE).
03:08 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
04:58 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ასკოლი.
06:45 სპორტკლუბი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი.
12:30 ფეხბურთი. აზიანაგური მატჩი.
14:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
15:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი.
15:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი (LIVE).
19:45 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-საბერძნეთი. ავსტრია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-სერბეთი. ავსტრია (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი.
01:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
02:00 რესტლინგი.
02:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი.
03:45 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პორტუგალია.
14:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პორტუგალია. ავსტრია.
15:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. ავსტრია.
16:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
17:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
18:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია.
19:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მე-3 ადგილისთვის. პორტუგალია.
20:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-ნლამდელები). 1/2 ფინალი. სერბეთი.
00:15 ბილიარდი. პული. ავსტრია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-ნლამდელები). 1/2 ფინალი. სერბეთი.
02:15 ახალი ამბები.

22 ივლისი. კვირა

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ამხანაგური მატჩი. ლოს ანჯელეს გალაქსი-ჩელსი.
14:05 გერმანიის ლიგის თასი. შალკე-კარლსრუე.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 გერმანიის ლიგის თასი. ვერდერი-ბაიერნი.
17:50 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/4 ფინალი. მილანი-დეპორტივო. I მატჩი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 უკრაინის ჩემპიონატი. დინამო-არსენალი.
21:55 ამხანაგური მატჩი. ლოს ანჯელეს გალაქსი-ჩელსი.
23:40 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. მადრიდი. ესპანეთი.
10:16 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ამერსფორტი.
11:47 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:13 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ამერსფორტი.
13:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-ატ. მინეირო.
15:30 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. შალკე-კარლსრუე.
17:12 სპორტის ისტორია.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მერსედესის თასი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:32 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
20:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
21:50 პლაჟის ფეხბურთი.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეიროსან პაულუ (LIVE).
00:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. ფინალი. ამერსფორტი.
02:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-ატ. მინეირო.
04:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
06:30 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.

EUROSPORT

10:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
11:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია.
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი. მოტოგრან-პრი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერეთასი. ნიურნბურგრინგი. გერმანია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ჩეხეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი (LIVE).
19:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
20:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჩეხეთი.
21:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეეურნალი.
22:00 ცხენოსნობა. ჩემპიონთა ტური. კონკური. ეშტორილი. პორტუგალია.
23:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-საბერძნეთი. ავსტრია.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი.
01:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
02:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეეურნალი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
11:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
12:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
13:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-საბერძნეთი. ავსტრია.
14:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
15:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ჩეხეთი.
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჩეხეთი.
18:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-ნლამდელები). მე-3 ადგილისთვის. სერბეთი.
19:45 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. ბულგარეთი.
20:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
21:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ფინალი. სერბეთი.
23:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ედმონტონი. კანადა.
01:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:30 ახალი ამბები.

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სეული-მანჩესტერ იუნ	0:4
ოსკარი-ლივერპული	0:2
ადმირა-ვიენერიკა	2:5
პანზა-ბანიკი	0:1
პარმა-პერაკლესი	5:1
ალემანია-აალენი	0:0
არისი-ბულუზა	1:0
პანოვერი-ბეენგე	3:1
მეცი-რეგისი	0:1
სოშო-ლეგია	0:0
ვეპერგალი-პინგარაბი	0:1
სტიაუა-შარლეროა	1:1
ბრაგანი-ფულჰემი	1:2
მენსფილდ-ლესტერი	გადადო

ავსტრია

ზგურმი-ლინცერი	4:0

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

გოსაუ-ფოლენ	1:4
ლოკარნო-ფონდლი	1:0

ირლანდია

გალვეი-ბრეი	0:1
უოტერფორდ-სლიგო	1:2

რუსეთი

დინამო-ამკარი	0:0

უკრაინა

ბავარია-კარპატი	2:1

ხოკეი

ინგლისი

ინგერ-რიეკა	0:1

სლოვენია

ინგერბლოკი-ნაფგა	1:0

უნგრეთი

ვაშაში-ბაბაბანა	3:1
ზალაეგერშეგი-პაქსი	3:1

ATP. ამერსფორტი

იუენი-კოროლიოვი	6:4, 6:3
მოია-ეშაუერი	7:6, 4:6, 4:6
ანდრეევი-დარცისი	3:6, 4:6

ATP. შტუტგარტი

ვავრინკა-ვანეკი	6:1, 6:4
ვერდასკო-ჩელა	6:2, 3:6, 2:6
ფერერო-ლოპესი	4:6, 6:4, 4:6
ნადალი-მონაკო	6:1, 6:3

WTA. პალერმო

ლუა-კნაპი	3:6, 6:7
რადვანსკა-შავაი	0:6, 3:6
ერანი-დომინგეს ლინო	6:2, 6:0
პენეტა-მიულერი	3:6, 6:3, 4:6

WTA. ცინცინატი

ჩაკვეტაძე-ვესნინა	6:7, 6:0, 6:1
მირზა-გოვორცოვა	6:1, 6:1

ბონენმა მეორე გამარჯვება მოიპოვა

ტურ დე ფრანსი

რასმუსენი ეჭვქვეშ

ტურ დე ფრანსის გუშინდელი, მე-12 ეტაპის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, დანიის ველოსპორტის კავშირმა სკანდალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია, რომ კავშირი მსოფლიოს ჩემპიონატისა და პეკინის ოლიმპიადისთვის, ეროვნულ ნაკრებში არ შეიყვანს ტურის ყვითელი მაისურის ახლანდელ მფლობელ **მიქაელ რასმუსენს**.

საქმე ისაა, რომ თურმე, რასმუსენმა დანიის დოპინგსაწინააღმდეგო ინსპექციას დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად აპირებდა ტურისთვის მოსამზადებელი ვარჯიშების ჩატარებას. შესაბამისად, ინსპექციამ მისი ტესტირება ვერ მოახერხა.

საერთოდ, მიღებულია, რომ ის სპორტსმენები, რომლებსაც საერთაშორისო ტურნირებზე კარგი შედეგები აქვთ, თავიანთი მზადების შესახებ, ინფორმაციას თავიანთი ქვეყნების ფედერაციებს აწვდიან. თუ სპორტსმენი თავის მონაცემებს ფედერაციას არ უგზავნის და არც გაფრთხილებაზე პასუხობს, მაშინ სანქციით ისჯება, რაც არ გამორიცხავს დისკვალიფიკაციასაც კი, რადგან რიგ შემთხვევებში, მსგავსი ქმედება დოპინგკონტროლისგან თავის არიდებასთანაა გათანაბრებული.

რასმუსენი არ უარყოფს, რომ დანიის ველოსპორტის კავშირისგან გაფრთხილება მიღებული აქვს, თუმცა დასძენს, რომ ამ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა გაუგებრობას: *"გაფრთხილება კი მივიღე, მაგრამ ეს ადმინისტრაციული შეცდომის გამო მოხდა. დოპინგსაწინააღმდეგო ინსპექციისგან შეკითხვა ფოსტით გამომიგზავნეს. ის დაგვიანებით მივიღე და ბუნებრივია, პასუხმაც დაიგვიანა. არ მგონია, ამის გამო სპორტსმენის დასჯა გამართლებული იყოს"*, - ამბობს დანიელი ველომრბოლი.

სხვათა შორის, თავისი ლიდერის დაცვას არ აპირებს მისი გუნდი, ჰოლანდიური "რაბობანკი". *"თუ ასეც მოხდა, მიქაელს სერიოზული შეცდომა დაუშვია. ჩვენს გუნდში ყველას ვავალდებულებთ, რომ დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურებთან ითანამშრომლონ. მათ კარგად იციან, რომ შესაბამისმა სამსახურებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ მათი ადგილსამყოფელის შესახებ. და თუ მომხდარის გამო, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი ამ ამბისთვის რასმუსენის დასჯას გადაწყვეტს, ჩვენ ამაში ვერ შეევწინააღმდეგებით"*, - ნათქვამია "რაბობანკის" განცხადებაში.

სხვათა შორის, დანიის ველოსპორტის კავშირში ფიქრობენ, რომ რასმუსენი ასე გამიზნულად მოიქცა, რადგან *"მას რაღაც აქვს დასამალი"*.

მომხდარი კრიტიკულად შეაფასა ტურის დირექტორმა **კრისტიან პრიუდომმა**. *"პრესიდან შევიტყვე, რომ დანიის ველოსპორტის კავშირი რასმუსენის დასჯას აპირებს. მართალი გითხრათ, ჯეროვნად ვერც კი გავიგე, ეს გაფრთხილებაა, თუ სანქცია ველომრბოლის მიმართ. ვერც ის გავიგე, რის საფუძველზეა მიღებული ეს გადაწყვეტილება. ალბათ, უნდა იყოს სხვა გარემოება, რაც კავშირის ამგვარ სიმკაცრეს განმარტავს. ისიც არ ვიცი, ეს გადაწყვეტილება დანიის ჩემპიონატამდე იქნა მიღებული, თუ მას შემდეგ. მოკლედ, დანიის კავშირისგან განმარტებას ველი, თუ არა, ეს იმას ნიშნავს, რომ რასმუსენი ეტაპის სტარტზე გამოვა"*, - განაცხადა ტურის შეფმა.

"რაბობანკის" მენეჯერ **თეო დე როოის** თქმით რასმუსენმა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირისგან მიიღო გაფრთხილება, რომელშიც ნათქვამია, რომ რასმუსენმა ორჯერ აარიდა თავი შემთხვევით დოპინგ-შემოწმებას. საერთაშორისო დოპინგსაწინააღმდეგო წესებით, თავის არიდების მესამე ფაქტის შემთხვევა ავტომატურად ითვლება დოპინგის გამოყენებად და შესაბამისი სანქციით ისჯება.

პრიუდომი კი გაოცებულია იმით, რომ დანიის ველოსპორტის კავშირმა ეს გადაწყვეტილება ახლა მიიღო და არა მაშინვე, როგორც კი საერთაშორისო კავშირისგან შესაბამისი შეტყობინება მიიღო. ამ შეტყობინების შემდეგ კი ველომრბოლმა დანიის ჩემპიონატშიც იასპარეზა. პრიუდომი ამბობს, რომ რასმუსენმა ტურის დაწყებამდეც და რბოლის მსვლელობის დროსაც, რამდენიმე სინჯი ჩააბარა და ამ ტესტებზე პასუხებს მალე ელიან.

ბოონენის დუბლი

გუშინდელი ეტაპი კი ბელგიელმა **ტომ ბოონენმა** მოიგო, ვინც სპრინტერულ სპურტში უკან მოიტოვა გერმანელი **ერიკ ცაბელი** და სამხრეთაფრიკელი **რობერტ ჰანტერი**. ეს ბოონენის მიერ მიმდინარე ტურზე მოგებული მეორე ეტაპია, რისი წყალობითაც, სპრინტერთა კლასიფიკაციაში მან კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა. მწვანე მაისურის მფლობელი, ახლა უკვე ოც ქულას უგებს მეორეზე მყოფ ჰანტერს.

"გუშინ არ გამიმართლა, ამჯერად კი ყველაფერი რიგზე იყო. ალპური ეტაპებისწინა ბოლო სპრინტერული ეტაპი მე მოვიგე. ახლა წინ პირენეული სამთო ეტაპები გვაქვს და მათ წინ, ბოლო სპრინტერული რბოლა ისევ მე მოვიგე. რა თქმა უნდა, ყველაფერი დამთხვევის გამო მოხდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამით კმაყოფილი ვარ", - განაცხადა ბოონენმა, ვინც მე-11 ეტაპის მოსაგებად იმის გამო ვერ იბრძოლა, რომ ფინიშამდე ერთი კილომეტრით ადრე, სწორედ მის წინ დაეცა რამდენიმე ველომრბოლი და ამის გამო, მან ტემპი დაკარგა.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ლიდერთა ათეულში ცვლილება არ დაფიქსირებულა. რასმუსენი კვლავ 2 წუთსა და 35 წამს უგებს მეორეზე მყოფ **ალეხანდრო ვალვერდეს**, ვისაც დროზე დღევანდელ ინდივიდუალურ რბოლაში, შანსი აქვს, ყვითელი მაისურის მოსაპოვებლად იბრძოლოს. კარგი შანსები ექნებათ გერმანელ **ანდრეას კლოდენსა** და ესპანელ **კარლოს სასტრესაც**.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-12 ეტაპი. მონაველიედან კასტრესამდე (178.5 კმ)

1. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 4:25.32 (40.33 კმ/სთ); 2. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) იგივე დროში; 3. რობერტ ჰანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი); 4. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 5. თორ ჰუსპოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი); 6. ბერნჰარდ აიზელი (ავსტრია, ტე-მობილი); 7. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ); 8. ნიკოლა ჟალაბერი (საფრანგეთი, აგრიტუბელი); 9. რობერტ ფიორსტერი (გერმანი, გეროლშტაინერი); 10. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) ყველა იგივე დროში... 40. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი)... 47. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)... 77. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი)...

კლასიფიკაცია 12 ეტაპის შემდეგ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 57:37.10; 2. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 2.35; 3. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დ იუვალი) 2.39; 4. კიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.41; 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.08; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.39; 7. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 3.50; 8. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 3.53; 9. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 5.06; 10. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 5.20...

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანელიაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ზათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესლე ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ნათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახვლედიანის 10³, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

ჭრიჟი

ბრძოლა ღირსებისთვის

გამარჯვებისთვის დაბრუნებული

დღეს, ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო "მანდალაი ბეის" რინგზე, ერთმანეთს თანამედროვეობის ორი გამორჩეული მოკრივე - **რონალდ ვინკი რაიტი** და **ბერნარდ ჰოპკინსი** დაუპირისპირდება. ბრძოლა არასტანდარტულ წონაში (77 კგ - ზესაშუალოზე ერთი კილოგრამით მეტი და ქვეძმეზე ორი კილოთი ნაკლები) ჩატარდება და რა თქმა უნდა, მის სასწორზე არცერთი გართიანების ტიტული არ დევს. თუმცა, ამით არცერთი მოკრივის მოტივაცია არ ნელდება.

"დიდი ბრძოლა გველის. მერე რა, რომ ტიტულისთვის არ ვხვდებით ერთმანეთს. რინგზე დიდების დარბაზის ორი მომავალი წევრი იქნება და ეს საკმარისია იმისთვის, რომ მან კრივის მოყვარულის ყურადღება მიიქციოს. კარიერის დასრულებამდე სულ ოთხი-ხუთი ბრძოლის გამართვას ვაპირებ და ეს ერთ-ერთი მათგანია. გარწმუნებთ, ყველა შემთხვევაში სახელოვანი მეტოქე მეყოლება. მინდა, ისე წავიდე, რომ ყველა ძლიერ მოკრივეს გავუსინჯო გემო. ბევრს ჩემი ბრძოლის სტილი არ მოსწონს. ამბობენ, დაცვას მეტ ყურადღებას უთმობსო. მაგრამ რაუნდში რომ 80-90 დარტყმას განახორციელებ, როგორღა ამბობენ ამას, წარმოდგენა არ მაქვს. მოკლედ, ვეცდები, კიდევ ერთხელ გამოვავლინო ჩემი საბრძოლო თვისებები", - ამბობს 35 წლის რაიტი (50-3-1, 25 წოკაუტი), ვინც თავის დროზე, ორჯერ ფლობდა ქვესაშუალო წონის ჩემპიონის ტიტულებს, ერთხელ კი, საშუალო წონის ახლანდელ ჩემპიონ **ჯერმეინ ტეილორთან** ფრეს დასჯერდა.

"ყველამ კარგად ვიცით, რა შეუძლია ვინკის. ნახევარი წელიწადია, სულ ამას მეკითხებიან - ბერნარდ, რას მოუხერხებ რაიტის დაცვას? რას ფიქრობ მის ჯებზე? რას და გეტყვით, რომ მას სულ ეს ორი ძლიერი მხარე აქვს - დაცვა და ჯები. მე კი ვკრივობ, ვუტევ, თავს ვიცავ, კონტრშეტევაზე გადავდივარ და ყოველთვის ვურტყამ. ზოგჯერ ძალიან ძლიერად. მოკლედ, შემიძლია, ნებისმიერ მეტოქეს ნებისმიერი კუთხიდან მივაწვდინო მუშტი", - ამბობს 42 წლის ჰოპკინსი (47-4-1, 32 ნოკაუტი), ვინც საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს (IBF-ის) პირველად 1995 წელს დაეუფლა და ათი წლის განმავლობაში ის ოცჯერ დაიცვა და გზად, WBA-ის და WBC-ს ტიტულებსაც დაეუფლა.

მერე საშუალო წონაში ბატონობა ჯერმეინ ტეილორს გადააბარა მას შემდეგ, რაც მასთან ორჯერ ქულებით წააგო. მერე ქვემძიმეში გადავიდა, სადაც სასტიკად დაამარცხა **ანტონიო ტარვერი** და მას ნაკლებად პრესტიჟული გაერთიანების ტიტული ჩამოართვა. ამ გამარჯვების შემდეგ, ჰოპკინსმა სპორტიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ უბრძოლველად ერთი წელიწადიც ვერ გაძლო. თავიდან მან ზემძიმეში გადასვლა და იქ რომელიმე ჩემპიონთან შეხვედრა მოინდომა, თუმცა მისი გამოწვევა არავინ მიიღო და იძულებული გახდა, ქვედა წონებიდან შეერჩია მეტოქე. ჰოდა, რაიტზე უკეთესს ვის აირჩევდა...



ჰოპკინსი და რაიტი ბრძოლისთვის მზად არიან

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ჰოპკინსი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია, რასაც თავად ასე ხსნის: *"მე ზეციდან სპორტსმენის ნიჭი მაქვს მომდლებული. მე ათლეტი ვარ და ყველანაირად ვზრუნავ იმაზე, რომ სპორტულ ფორმაში ვიყო. ვარჯიშის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ვცხოვრობ ჯანსაღი წესით, არ ვსვამ, არ ვეწევი, ნარკოტიკებსა და დოპინგს არ ვეტანები. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ახლა აქ ვარ და ამ სეზონის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ბრძოლაში, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივის წინააღმდეგ მივიღებ მონაწილეობას"*.

მერაბ ლორთქიფანიძე